645
1974/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1974 წ.

# ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულწრფელად ულოცავენ „საქართველოს ქალის" სახელოვან კოლექტივს, მის მრავალრიცხოვან მკითხველებსა და ავტორებს ჟურნალის დაარსების 50 წლისთავს და მთავრობის მაღალი ჯილდოს — „საპატიო ნიშნის" ორდენის მიღებას.

„საქართველოს ქალის" ღირსშესანიშნავი იუბილე მთელი საქართველოს ქალთა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთა დიდი და ნათელი დღესასწაულია.

თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე, მარქსიზმ-ლენინიზმის მგზნებარე პროპაგანდისტი, აგიტატორი და უნარიანი ორგანიზატორი, ჟურნალი „საქართველოს ქალი" ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მათი მობილიზაციისათვის პარტიის მიზანდასახულობათა ცხოვრებაში გასატარებლად, აქტიურად იბრძოდა დიდი ლენინის ანდერძის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რომელიც მიუთითებდა, რომ „ქალების ჩაუბმელად დამოუკიდებლად არათუ საერთოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მუდმივ და საყოველთაო საზოგადოებრივ სამსახურში, ზედმეტია ლაპარაკი არათუ სოციალიზმზე, არამედ სრულსა და მკვიდრ დემოკრატიაზედაც".

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო „საქართველოს ქალის" დამსახურება ქალთა სრული განთავისუფლებისათვის, მათი თანასწორუფლებიანობის საბოლოო გამარჯვებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმისათვის.

დღეს ჩვენი სახელოვანი ქალები სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ყველა სფეროში გვიჩვენებენ შემოქმედებითი, შთაგონებული კომუნისტური შრომის შესანიშნავ მაგალითებს, აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, ზრდიან და ასწავლიან ახალგაზრდა თაობას, კომუნიზმის მომავალ მშენებლებს. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვს ჩვენი დღეების მემატიანეს, საბჭოთა პრესის მებრძოლ ორგანოს ჟურნალ „საქართველოს ქალს".

დღეს, როცა საქართველოს მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი, თავდადებულად იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, როცა რესპუბლიკაში შექმნილია შემოქმედებითი შრომის ატმოსფერო, მიმდინარეობს მორალური კლიმატის გაჯანსაღების აქტიური პროცესი, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის, მთელი მისი ავტორთა კოლექტივის წინაშე წამოყენებულია მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის, მთლიანად ხუთწლედის გრანდიოზულ გეგმათა ცხოვრებაში განხორციელების, „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ" ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციის, მათი საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის, პარტიისა და ხალხის წინაშე ღრმა პოლიტიკური შეგნებულობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლების უფრო რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები.

ვუსურვებთ ჟურნალ „საქართველოს ქალის" მრავალრიცხოვან აქტივს და მკითხველებს, მათი სახით საბჭოთა საქართველოს ყველა ქალს სიხარულს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი საზოგადოების, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, დიდ გამარჯვებებს ნათელი კომუნისტური ხვალინდელი დღისათვის საერთო სახალხო ბრძოლებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## დაჯილდოება

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებული არიან ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის შემდეგი მუშაკები:

1. ბარათაშვილი მარიკა გერვასის ასული — ჟურნალის რედაქტორი
2. ბარათაშვილი ნანული კვიროსის ასული — რედაქციის განყოფილების გამგე
3. ბუკია ემა გერმანეს ასული — ჟურნალის კორექტორი
4. იაკობაშვილი დავით ვლადიმერის ძე — ჟურნალის ფოტოკორესპონდენტი
5. კალანდაძე მირცა ილიას ასული — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი
6. კილასონია ნაზი გიორგის ასული — რედაქციის განყოფილების გამგე
7. ცაგარეიშვილი ნანული რაჟდენის ასული რედაქციის განყოფილების გამგე
8. ჩოფიკაშვილი ემა გიორგის ასული — ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი
9. სოგომონოვი რაჩიკ გრიგოლის ძე — მბეჭდავი.

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიენიჭა:

კაკაბაძე ლია ვლადიმერის ასულს — რედაქციის განყოფილების გამგეს

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალების მეგობარი და მრჩეველი

# 50



საქართველოს ქალი

19404

## „საქართველოს ქალის" იუბილე

ყველა, ვინც 29 ნოემბერს შეიკრიბა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჟურნალ „საქართველოს ქალის" 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, მოწმე გახდა იმ დიდი პოპულარობისა და სიყვარულისა, რომელიც მან მოიპოვა თავის მრავალრიცხოვან მკითხველთა შორის.

საიუბილეო საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულითადად მიულოცა ჟურნალის რედაქციის კოლექტივს, მის მკითხველებს სახელოვანი იუბილე და სამშობლოს დიდი ჯილდო. ამხ. ვ. სირაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს მისალმება ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციისადმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საპატიო ნიშნის" ორდენით ჟურნალ „საქართველოს ქალის" დაჯილდოების შესახებ. ეს ჯილდო ჟურნალს მიენიჭა იმ ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომელსაც ეწევა საბჭოთა საქართველოს ქალების კომუნისტური აღზრდისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი დარაზმვისათვის. შეკრებილთა ტაშის გრიალში ვ. სირაძემ მთავრობის ჯილდო რედაქციის დროშას მიაბნია.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორმა მ. ბარათაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ჟურნალის რედაქციის მუშაობის დიდი შეფასებისათვის, „საპატიო ნიშნის" ორდენით ჟურნალის დაჯილდოებისათვის, ილაპარაკა ჟურნალის საქმიანობაზე.

საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა მ. ფოცხიშვილმა წაიკითხა ქართველი ქალებისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი.

ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავისა და სამშობლოს საპატიო ჯილდოს მიღების გამო რედაქციის კოლექტივს მიესალმა საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ვასაძე.

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტისა და ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" სახელით რედაქციის თანამშრომლებსა და მკითხველებს იუბილე მიულოცა ზ. სმირნოვამ. მან შეკრებილთ გადასცა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის გმირის, კოსმონავტი-მფრინავის ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას მისასალმებელი წერილი.

იუბილარს მიესალმნენ: ჟურნალ „რაბოტნიცას" სახელით — ტ. კოსტიკოვა, ჟურნალ „კრესტიანკას" სახელით — ე. სერგეევა, უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის ქალთა ჟურნალების წარმომადგენლები ა. შილა, ა. ქაკეტოვა, ა. ჩილინგარიანი, ხ. გასილოვა და ს. ნაჯაბოვა.

ამაღელვებლად გაისმა ძველი ბოლშევიკის, 1917 წლის აგვისტოდან სკკპ წევრის ალვასი თალაკვაძის სიტყვა, რომელიც მხურვალედ მიესალმა იუბილარს აჭარელ ქალთა სახელით.

იუბილარს გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. პისარევა, აფხაზი პოეტი ქალი ნ. თარბა, ქალთა სატელევიზიო ჟურნალის „იავნანას" რედაქტორი ნ. ხავთასი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი დ. მჭედლიშვილი, დიდი სამამულო ომის მონაწილე თ. გოთუა, მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის მეჩაიე, საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი ნ. ნიკოლაიშვილი.

მხატვარმა ე. კანდელაკმა რედაქციის კოლექტივს ძღვნად გადასცა ერთ-ერთი თავისი ნამუშევარი.

სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობდნენ მინიატურების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თ. ჩანტლაძე, საქართველოს სახალხო არტისტები: ზ. სოტკილავა, გ. საღარაძე, ნ. ბრეგვაძე, ვოკალური ანსამბლი „რუსთავი", მომღერალი ც. დადიანი და სხვა შემსრულებლები.

კონცერტის დასასრულს გამოვიდა პ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური".

საიუბილეო საღამოზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ყარყარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბედინეიშვილი. (საქინფორმი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვიქტორია სირაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ძვირფასო სტუმრებო!

დღეს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა განსაკუთრებული გრძნობით აღნიშნავს ჩვენი ქალების, დედების, დების, ქომაგისა და მრჩეველის — ჟურნალ „საქართველოს ქალის" არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ამ დიდ და ძნელად სავალ გზაზე, ჩვენი საყვარელი ჟურნალი არასოდეს არ ყოფილა გარემოებათა უგულო მეთვალყურე, ფაქტების უბრალო რეგისტრატორი. მუდამ ცხოვრობდა რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი სამშობლოს ხალხთა ცხოვრებით, დამაჯერებელი მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით ასახავდა საქართველოს ქალთა უდიდეს შემოქმედებით საქმიანობას, კეთილშობილურ მისწრაფებებს, ზნეობრივ სისპეტაკეს; ასწავლიდა, მოუწოდებდა, სულიერად ამაღლებდა მათ, აღვივებდა აზროვნებას, სურვილებს, ოცნებებს...

ამიტომ ერგო წილად „საქართველოს ქალს" მკითხველთა დიდი სიყვარული, პატივი და ღირსება, პარტიისა და მთავრობის ესოდენ დიდი დაფასება — „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოვება.

ნება მომეცით, ამ საზეიმო დღეს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოგილოცოთ ეს დიდი პატივი და მხარდაჭერა და გაგაცნოთ ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციისადმი საიუბილეო მისალმების ტექსტი.*

ამხანაგებო!

დღეს ამ დარბაზში ალბათ არიან ადამიანები, რომლებსაც კარგად ახსოვთ 1923 წლის სექტემბრის ის დღე, როცა თბილისის ქუჩებში გაზეთებთან ერთად გამოჩნდა საქართველოს ქალთა ჟურნალის პირველი ნომერი.

„ჩვენი გზა" — ასე ეწოდებოდა თავდაპირველად ამ ჟურნალს. თვით ჟურნალის სახელწოდება მიგვანიშნებდა იმაზე, რომ ახალი ცხოვრების დიდ გზაზე მამაკაცის მხარდამხარ მიმავალ ქალს — მებრძოლს, მშენებელს, მოღვაწეს, მეუღლესა და მშობელს, რაოდენ დიდი სოციალური, ზოგადსაკაცობრიო ამოცანების გადაჭრა დაევალა.

დღეს ყველას ბუნებრივად მიაჩნია, რომ საბჭოთა ქალი წარმატებით იღწვის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ზრდის ღირსეულ მამულიშვილებს და ამავე დროს გვევლინება, როგორც საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე.

იმ პერიოდში კი, როდესაც ქალთა ჟურნალი დაიბადა, კლასობრივ მტრებთან ბრძოლასთან ერთად საჭირო იყო წარსულის მავნე გადმონაშთებისა და ზნე-ჩვეულებების დაძლევა, ქალის სწავლება, მასში საკუთარი ღირსების გრძნობის გაღვივება, საკუთარ ძალებში რწმენის ჩანერგვა. სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა. ქალის მთლიანი და სრული ემანსიპაცია, რასაც ისეთივე მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც სოციალურ რევოლუციებს.

სწორედ ასეთი ტიტანური შრომა იტვირთა რესპუბლიკის ქალთა ჟურნალმა და სასახელოდაც გაართვა თავი ამ საპატიო ამოცანას.

მისმა პირველივე ნომრებმა ქართველი ქალის გულში აანთო თავისუფლებისა და თანასწორობის ჩაუქრობელი ცეცხლი, ნათელი მომავლისაკენ შეუნელებელი სწრაფვის სურვილი.

ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში მოვლენათა მსვლელობისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყოველ ეტაპზე პარტია და საბჭოთა მთავრობა ახალ ამოცანებს უყენებდა ჟურნალს. ამ ამოცანათა შესაბამისად იცვლებოდა მისი შინაარსი, ცხოვრების ასახვის ფორმები და მეთოდები.

ამბობენ, ორმოცდაათი წელი სიმწიფისა და ნიჭის გაფურჩქვნის ასაკიაო. სიმწიფის ამ იუბილეზე არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ ის მკლავმოუღლელი მანდილოსნები, რომელთა სახელებმაც ქალთა პირველი ჟურნალის თავფურცელი შეავსეს.

პირველი ხუთწლედების გმირები, რომლებიც მამაკაცებთან ერთად უყრიდნენ საფუძველს ახალ, სოციალისტურ საზოგადოებას, აშრობდნენ ჭაობებს, ტეხდნენ ყამირს, გაჰყავდათ გზები, აშენებდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, ებრძოდნენ მტრებს, აგებდნენ საბჭოთა საქართველოს ეროვნულ კულტურას: ბაბე ბოჭორიძე და ჯავაირა ხუტულაშვილი, ნინო ალაჯალოვა და სონია თალაკვაძე, ქიონია სარსანია და სოფიო ბაზანდარაშვილი, ელენე ნატროშვილი და ტატიანა ხარშილაძე, ნუნუ აგაშენაშვილი და რუსუდან ჟორდანია, საფო მგელაძე და ეკატერინე გაბაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი და თამარ აბაკელია, ნუცა ჩხეიძე და ნატო ვაჩნაძე, რუსუდან ნიკოლაძე და ქსენია ბახტაძე. მარიამ ორახელაშვილი და თეო აბაშმაძე და მრავალი სხვა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე, უდიდესი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის აღმავლობისა და განვითარების საქმეში.

„ქალი მოწოდებულია იმისათვის, რომ აშენოს და მართოს" — ამბობდა დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი. ამის დასასაბუთებლად მარტო საბჭოთა საქართველოს ქალების აწმყო და მომავალი იკმარებდა. დღეს არ არის სახალხო მეურნეობის, კულტურისა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთი სფერო, რომელშიც ქალები აქტიურად არ მონაწილეობდნენ, თავიანთი წვლილი არ შეჰქონდეთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებასა და განმტკიცებაში, საბჭოთა ხალხის ურღვევ მეგობრობაში, მთელს მსოფლიოში მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დღეს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი შთაგონებით შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, როცა ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა შემოქმედებითი შრომის ჭეშმარიტი ატმოსფერო, საქართველოს მშრომელ ქალებსაც შეაქვთ თავიანთი ღირსეული წვლილი რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობისა და სულიერი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში.

ამაზე მეტყველებენ შრომის გმირთა ის ახალი სახელები, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედში შეემატნენ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის მოწინავეთა რიგებს და რომლებსაც თავისი მადლიანი სიტყვით დაულოცა ცხოვრების გზა ჩვენმა იუბილარმა ჟურნალმა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ „საქართველოს ქალის" რედაქცია, მისი ავტორთა კოლექტივი ასე მტკიცედ და მხნედ დგას საბრძოლო პოსტზე, ცოცხლად და მიმზიდველად ასახავს საბჭოთა საქართველოში გაჩაღებული კომუნისტური მშენებლობის სიდიადეს, პირნათლად იხდის თავის ვალს პარტიისა და ხალხის წინაშე.

სწორედ ამით დაიმსახურა ჩვენმა ჟურნალმა მკითხველთა გულწრფელი სიყვარული და მთავრობის მაღალი ჯილდო — „საპატიო ნიშნის" ორდენი.

ძვირფასო მეგობრებო!

ნება მომეცით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, მთელი რესპუბლიკის მშრომელების სახელით კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენ და პირველ რიგში საპატიო ნიშნის ორდენოსან „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივს დაუვიწყარი ოქროს იუბილე!

დე მარად ისმოდეს ჩვენი საყვარელი ჟურნალის ფურცლებიდან რესპუბლიკის ქალთა განახლებული და ამაღლებული ხმა, ხმა — ამაგდარი დედისა, ქვეყნის გამგებლისა, საზოგადოების აქტიური წევრისა, ვინც დღენიადაგ იწვის და ინთება ქვეყნის სადიდებლად, სასახელოდ, საკეთილდღეოდ!

---

* მისალმება იხ. გარეკანის მეორე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. კეშეშოვა, ნ. კავთიაშვილი და ც. ღონიაშვილი.

# მათ შეასრულეს ხუთწლედი

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრგან გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მთელი შესაძლებლობები გამოიყენეს, არ დაზოგეს არც ცოდნა, არც ენერგია და ხუთწლედით გათვალისწინებული ვალდებულებანი დიდი ხნით ადრე შეასრულეს. მაგალითად, თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ მქსოველმა ნადეჟდა კავთიაშვილმა პირადი ხუთწლედი 1973 წლის დეკემბერში დაამთავრა, ხოლო 1974 წლის დეკემბრისათვის 1976 წლის გეგმა შეასრულა.

მისმა თანამოსაქმემ მარინე კოკოევამ უფრო მეტ წარმატებას მიაღწია და 1974 წლის მეორე ნახევრიდან 1977 წლის ანგარიშში მუშაობს. მან 52.000 წყვილი წინდა მოქსოვა ერთ წელიწადში, გეგმა კი 50.000 იყო.

რომ შეეკითხოთ ამ სახელოვან მქსოველ ქალებს, როგორ მოახერხეს დროის ასეთი ტემპით გასწრება, გეტყვიან, რომ წარმატების სათავე პროფესიულ დაოსტატებაშია. ისინი ორსისტემიან მრგვალ საწინდე მანქანებზე მუშაობენ და ქსოვენ უნაკერო წინდებს გამოყვანილი ქუსლით. გამოშვებული პროდუქცია პირველი ხარისხისაა, ეს იმას ნიშნავს, რომ წინდის სიმჭიდროვე თანაბარია, წინდა არ არის მოკლე, არც ვიწრო. 13 მანქანაზე, რომლებთანაც ისინი დგანან, ძაფი არ წყდება და კარგი მოვლით ეს მანქანები შესაძლებლობის მაქსიმუმს იძლევიან.

იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ახალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ, თანდათან იზრდება. ფაბრიკა „კრწანისში“ ნადეჟდა კავთიაშვილსა და მარინე კოკოევას გვერდში ამოუდგნენ ელზა ანაკჩიანი, იზოლდა კეშეშოვა, ციური ღონიაშვილი. მათაც ვადაზე ადრე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედი, მათაც დროს გაუსწრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იხარა ოქროს ნერგმა



თამარ ჩოჩიას ბრიგადა პლანტაციაში

ცოტა რამ წარსულიდან:

„სამეგრელო უღრან ტყეს წარმოადგენს, გველებითა და ეკლებით სავსეს. განუწყვეტელი წვიმების გამო გზები ატალახებულია; ჰავა ნესტიანია, რაც უამრავ დაავადებებს იწვევს“, — წერდა იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე 1634-1640 წლებში.

თითქმის ასეთივე დახვდათ ეს მიწა სამი საუკუნის შემდეგ კოლხეთის ამთვისებლებს. მამაცმა ადამიანებმა შეუტიეს ჭაობს. მოსპეს მალარია, გაიყვანეს არხები.

ინგლისელი დოქტორ-კონსულტანტი მანი, რომელიც საბჭოთა კავშირში და კერძოდ ამ ადგილებში მოწვეული იყო ჩაის გასაშენებელი ნიადაგების გამოსაკვლევად, გადაჭრით ამბობდა: — „არა, აქ ჩაის გაშენება სისულელეა“. რა იყო ეს, უცოდინარობა თუ პოლიტიკური ეშმაკობა? საეჭვოა, რომ მანი, რომელსაც წლების განმავლობაში უხდებოდა მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებში — ინდოეთსა და ცეილონში მუშაობა, არ იცნობდა ნიადაგს. შესაძლოა, მანს უფრო ის სურდა, რომ ჩვენთან ჩაის კულტურა არ დანერგილიყო და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც მაშინ ისედაც სუსტი იყო ეკონომიურად, მძიმე ტვირთად დასწოლოდა ჩაის ყიდვა ინგლისის კოლონიებისგან.

ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტებმა არ დაუჯერეს მანს. მათ კარგად იცოდნენ აქაური მიწისა და მზის ენერგიის ფასი.

კოლხეთის პირველ მოიერიშეთა შორის იყო დავით კუხიანიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი, ამჟამად პენსიონერი. იგი იგონებს:

„მაშინ „საქჩაის“ ტრესტის მეორე სატრაქტორო ბაზის ტექნიკურ დირექტორად ვმუშაობდი. 1932 წლის ჭირვეული გაზაფხული იდგა. თოვლმა და ხშირმა წვიმებმა ხელი შეუშალეს საგაზაფხულო სამუშაოებს, ჭიანურდებოდა თესვაც. 14 აპრილს, ღამის ორ საათზე მიხმეს ტრესტ „საქჩაის“ მაშინდელ მმართველ ჯუღელთან, რომელიც სპეციალურად იყო მოვლინებული სამეგრელოს რაიონებში ჩაის თესვის დროულად დასამთავრებლად.

საბჭოთა სახელმწიფოს, — მითხრა მან, — ოქროთი აქვს შეძენილი ჩაის თესლი. ცუდი ამინდების გამო ზოგმა რაიონმა ვერ შეძლო ნიადაგის მომზადება. გადაწყვეტილია ჯოლეჯიანში (ინგირში) შეიქმნას მეჩაიეობის მძლავრი საბჭოთა მეურნეობა. გევალებათ ათ დღეში მოამზადოთ ასი ჰექტარი მიწა.

პირობა მივეცი, მაგრამ ეს იმ დროს ძალიან ძნელი საქმე იყო. მაშინ ჩვენი პარკი ძირითადად საზღვარგარეთული მარკის მოძველებულ, ტექნიკურად გაუმართავ ტრაქტორებს ფლობდა. ახლა საშუალო დონის საბჭოთა მეურნეობა გაცილებით მძლავრია, ვიდრე ჩვენი მაშინდელი ბაზა. მიუხედავად ამისა, დავალება უთუოდ უნდა შეგვესრულებინა. იმავე ღამით გარიჟრაჟისას ინგირის მიწას მკერდს უხსნიდნენ ჩვენი ტრაქტორები. ტრაქტორისტები მუშაობდნენ დღედაღამ, შეუსვენებლივ. ტრაქტორების გაწყობა, მექანიზატორთა კვება პირდაპირ მინდორში ხდებოდა. საბჭოთა ადამიანების შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ხუთ დღეში მზად იყო ასოცდახუთი ჰექტარი მიწა“

ინგირს თავიდანვე დაებედა გმირული შრომა.

შემდგომშიც არაერთხელ ყოფილან ინგირელები პირველები. ამ სოფელში იღვწოდა და ჩაის კრეფის ჩქაროსნული რეკორდი დაამყარა ოთხგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ქიონია სარსანიამ. აქ დაიწყო ჩაის საკრეფი მანქანების გამოცდა. აქ მიუსხდნენ პირველად ჩაის საკრეფი მანქანების საჭეს ლოლა არღვლიანი და კლარა დავითაია. წელსაც ინგირელებმა ერთ-ერთმა პირველებმა უპატაკეს სამშობლოს ჩაის კრეფის ხუთწლიანი გეგმის შესრულება. მეათე ხუთწლედის ანგარიშში მათ მოკრიფეს 1.167 ტონა ჩაის ფოთოლი. მთლიანად კი წელს მოიკრიფა 3.848 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმა-ვალდებულება კი 3.450 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა. მანქანებით მოკრეფილია მთლიანი რაოდენობის 73 პროცენტი.

— ეკონომიური მაჩვენებლები გაინტერესებთ? — გვეკითხება მეურნეობის ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვალიდა დანელია და სხაპასხუპით გვკარნახობს: — „შარშან (მიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარე წლის მაჩვენებლები სამეურნეო წლის ბოლოსთვის შეჯამდება) ფაქტიურმა მოგებამ 1 მილიონ 947 ათასი მანეთი შეადგინა, ზეგეგმითმა მოგებამ — 365 ათასი მანეთი. ერთი ცენტნერი ჩაი გეგმით 35,63 მანეთი უნდა დამჯდარიყო, დაგვიჯდა გაცილებით ნაკლები — 27,4 მანეთი, ანუ თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 291 ათასი მანეთის ეკონომია.

ხომ თითქოს მოსაწყენია ციფრების ენა, მაგრამ ციფრებსაც აქვს თავისი პოეზია, როგორც სიმღერას, როგორც მუსიკას. ეს ციფრები ნათლად ღაღადებენ ასეულობით ადამიანთა გმირულ შრომასა და შემართებაზე, მათ დაუშრეტელ ენერგიასა და თავდადებაზე.

...თამარ ჩოჩიას ბრიგადას ვეწვიეთ. ამწვანებულ პლანტაციებს შორის ნაძვის ჩეროებში მიიკლაკნება გზა. ნელა მივყვებით მას: მეურნეობის პარტკომის ახალგაზრდა მდივანთან — როინ ჯაღაონიასთან, ჩაის საკრეფი მანქანების ცნობილ სპეციალისტთან აკაკი შულაიასთან, უბნის მმართველ აგრონომებთან — აკაკი ბერულავასთან და კოტე კეზუასთან ერთად. გზადაგზა კოტე მეხუთე უბნის მაჩვენებლებს გვაცნობს — გეგმა ჰქონდათ 402 ტონა, მოკრიფეს 520, ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 11.930 კილოგრამი ჩაი. მოკრეფილი ფოთლის 78,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ყველაზე კარგი მაჩვენებელი კეზუას უბანში მაინც იმ ბრიგადას აქვს, რომელსაც თამარ ჩოჩია ხელმძღვანელობს. ზუგდიდის რაიონში კარგად იცნობენ ამ სახელსა და გვარს. 1941 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული გოგონა ჩამოვიდა რაიონში. თავიდანვე ყოჩაღი და გამჭრიახი იყო, ამიტომაც სულ წამყვან უბნებზე აგზავნიდნენ. ერთხანს პარტიულ სამუშაოზე იყო — სათავეში ედგა რაიონში ერთ-ერთი მსხვილ — ინგირის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას. აქვე დაუკავშირა თავისი ბედი შემდგომში ამ კოლმეურნეობის თავკაცს თინთო ლოლუას. მერე თამარი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში იყო აგრონომად, უბნის მმართველად. საყვარელი მეუღლის უდროოდ დაკარგვამ მცირე ხნით ჩამოაშორა საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ გული არ გასტეხია, ოჯახს ძლიერი ხელი სჭირდებოდა და კაციც და ქალიც თვითონ იყო. ისევ მშობლიურ ინგირს დაუბრუნდა, ამჟამად მეცამეტე ბრიგადას უდგას სათავეში. მისი მუშაობის დასახასიათებლად ერთი ციფრიც კმარა: ორი წლის წინათ, როცა თამარი ბრიგადაში მოვიდა, საშუალოდ ჰექტარზე 10.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდნენ, წელს კი 11,6 ჰექტარი პლანტაციის თითოეული ჰექტარიდან საშუალოდ მიღებულია 14.900 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ალბათ რესპუბლიკაში, ყოველ შემთხვევაში ზუგდიდის რაიონში, ფიქსირებული არ არის ასეთი მაღალი საჰექტარო მოსავლიანობა. სულ ბრიგადაში გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 145 ტონის ნაცვლად მიღებულია 172 ტონა ჩაის ფოთოლი, პირველი ხარისხისაა გეგმიურზე საგრძნობლად მეტი — 75 პროცენტი.



თამარ ჩოჩია

წარმატებას ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, მეცნიერული მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა, მოწინავეთა მატერიალური სტიმულირება. ბრიგადაში ხდება შედეგების ყოველდღიური შეჯამება, დღის ბოლოს ცხადდება შეჯიბრებაში გამარჯვებული, მეორე დღეს კი მის პლანტაციაშია გამარჯვებულის ალამი. თუ ალამს რომელიმე მეჩაიე ათ დღეს შეინარჩუნებს, მეურნეობის დირექცია მას ფულადი პრემიით აჯილდოებს.

მოსავლიანობის გადიდებას პლანტაციების კარგ მოვლასთან ერთად ხელი შეუწყო დიფერენცირებული გასხვლის დანერგვამ. ასეთი წესით გასხვლის დროს პლანტაციაში ერთდროულად როდი შემოდის საკრეფად ჩაის ფოთოლი, რაც მთავარია, ყოველდღე არის საკრეფად ჩაი და არ ხდება მისი გადაუხეშება. თამარი გვაცნობს ბრიგადის საუკეთესო მეჩაიეებს: ტორონჯია გაბედავას, თამარ ქარჩავას, ვერა ზაბურევას, მანერა რაფავას, ნუნუ ლოლუას, სვეტლანა სიჩოვას, ლიდა ზაბოლოტინას და სხვებს. ყოველ მათგანს გეგმა 180-200 პროცენტით აქვს შესრულებული.

— როცა ამ ბრიგადაში გადმოდიოდით, ნუთუ ციფრმა ცამეტმა არ შეგაშინათ? — ხუმრობით ვეუბნებით თამარს.

— ციფრმა არა, მაგრამ მანქანები კი ნამდვილად გვაშინებენ, — მეუბნება თამარი, — ხელით მკრეფავთა ჩემი ბრიგადა ისეა ინგირში, როგორც პატარა კუნძული დიდ ოკეანეში. რა თქმა უნდა, მომავალი მანქანებისაა, მაგრამ ჩვენს მუშებზეც, მათ დასაქმებაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. ესენი აქ ცხოვრობენ, ჩაის კრეფა მათი პროფესიაა, სად წავიდნენ თუ ყველგან მანქანები იმუშავებენ? მართალია ხელით კრეფა მძიმეა, მაგრამ თუ მუშებს კარგ პირობებს შევუქმნით, მუშაობა შეიძლება. სასადილო აქვეა, პლანტაციაში, მუშები ავტობუსებით გადაგვყავს, გვაქვს სპეცტანსაცმელი, ყველასთვის გვაქვს დასასვენებელი სახლის საგზურები, ადგილზეა საბავშვო ბაგა-ბაღი, მაღაზიები, საავადმყოფო, ყოველგვარი სახის მომსახურების ობიექტი. მუშების საშუალო თვიური გამომუშავება 260-280 მანეთს აღწევს. ამი-



საბავშვო ბაღი



პედაგოგი ნ. გულუა მოსწავლეებთან



ეკონომისტი ვალიდა დანელია და ნორმადარი ოლია კუკავა.

...რომ თითქმის ყველა მუშა მოწინავეა.

კარგი მუშაობა რომ მოთხოვოთ, მუშაკს კარგი პირობებიც უნდა შევუქმნათ. ინგირში კი ასეთი პირობები ნამდვილად არის. მეურნეობის ინჟინერ-მშენებელ ვახტანგ ქვანიასთან ერთად ვათვალიერებთ მეურნეობის ცენტრს, რომელიც პატარა, ლამაზ ქალაქს მოგაგონებთ. ეს-ეს არის ხარაჩოები ჩამოუხსნიათ საბავშვო ბაგა-ბაღისათვის. აქვეა სკოლა, მაღაზიები, საავადმყოფო, კეთილმოწყობილი კოტეჯები, კულტურის სახლი, მოასფალტებული გზები...

ყველგან და ყველაფერს კარგი დიასახლისის, მშრომელი დედისა და ქალის ხელი ატყვია. აგერ საავადმყოფო. 1948 წლიდან მუშაობს აქ მარგო ჭანტურია (იგი ახლა მთავარი ექიმია), ცდასა და ენერგიას არ აკლებს ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მას მხარში უდგანან ლიდა ქირია, რომელიც 1938 წლიდან მუშაობს აქ, ანა პრენკო, ფენია ხატკინა და სხვები.

მეურნეობის ხელმძღვანელობა დიდი სიყვარულითა და სითბოთი გვიხასიათებს ინგირელ ქალებს: ინჟინერ-მექანიზატორს ცისანა ნიშნიანიძეს, სოციალისტური შრომის გმირს ანა შაპოშნიკოვას, მეჩაიეებს: ცისანა ბუკიას, მარიამ ახობაძეს, ზინა გაბისონიას, იზოლდა ყალიჩავას, ეთერ კუკავას, ნორმადარ ოლია კუკავას, ტექნიკურ მდივანს თამარ პაჭკორიას, პედაგოგებს: ალექსანდრა გლავჩევას, მანანა ჯიქიას, ნინო ჯოჯუას, თალიკო სხულუხიას და სხვებს.

— ჩვენი მეურნეობის ქალები, მთელი კოლექტივი არც მომავალში შეირცხვენს თავს, — გვეუბნება მეურნეობის თავკაცი, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, სოციალისტური შრომის გმირი იროდი ქანთარია. — მეურნეობაში, ამას წინათ, დიდი ზეიმი გვქონდა — ჩაის კრეფის მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულება მოგვილოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა და გვისურვა ახალ-ახალი წარმატებები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. ჩვენი შრომის ესოდენ დაფასებამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია მშრომელებში.

ახლავე ვუყურით საფუძველს მომავალი წლის უხვ მოსავალს, გადაწყვეტილი გვაქვს მივიღოთ სარეკორდო მოსავალი — 4.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გვჯერა, რომ ინგირელები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ პირობას. ეს კი საუკეთესო საჩუქარი იქნება ჩვენი პარტიის საიუბილეო, ოცდამეხუთე ყრილობისათვის.

**ენვერ ჩიქავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზღვა და ნავსაყუდარი

მარიამ შამფრიანი

მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მიწას დავცილდით, კატერი მოსარკულ წყალს სჭრის და უკან მოლივლივე ჭავლებს ტოვებს. უკან ჰორიზონტიც მოჩანს მწვანე ნაპირით და ნაძვნარში ჩაფლული თეთრი შენობებით. ირგვლივ საამოდ ილვრება სოლოვიოვ-სედოის—«Мой старый друг». ჩემს გვერდით მდგარი რუსი მამაკაცი რადიოს ხმას მისდევს და მშვენივრადაც გამოუდის.

ადამიანებს, ლურჯ, უკიდეგანო წყალს, მზეს, უსაზღვრო სივრცეს, შორეულ ჰორიზონტს მოგონებებში გადავყავარ.

მახსენდება მეხუთე კლასი, თეთრი კედლები, კლასში ჩამოკიდებული ვეება მსოფლიო რუკა, ზედ გამოხატული მატერიკებით, მწვანე დაბლობებით, ყავისფერი მთიანეთით, ცისფერი ოკეანეებით, ზღვებით, ტბებით და მდინარეებით... ახლა კი ამ დიდ ცისფერ წყალს მიაპობს კატერი და იმ კატერზე მეც ვარ უცხო ხალხთან ერთად.

«А мы с тобою не женаты...» სიმღერის რიტმში თანდათან იკვეთება გეოგრაფიის მასწავლებლის — არჩილ ყიფიანის ხმა. გვიყვება მაგელანზე, კოლუმბზე, ამუნდსენზე, მამაც მოგზაურებზე, რომელთაც ურთულესი გზა გაიარეს. გვიყვება მათ პირად ცხოვრებაზე. სულიერ სამყაროზე, სევდიან თავგადასავლებზე...

* * *

ხმაური, ხალხის ჩოჩქოლი არღვევს ჩემს ფიქრებს: კატერი ნავსადგურს მიახლოვებია. ჩასასვლელად ემზადება ყველა. ნაპირისაკენ ვიხედები. თვალებზე ჩამოფხატულ აფხაზურ ქუდს ზევით ვწევ, მერე ფიცრებისაგან გაკეთებულ გრძელ ხიდს მივყვები, მერე: ხალხს, ქუჩას.

ბაღი, ხეები, მერხები... აგურის ფხვნილმოყრილი ბაღის ლამაზი ბილიკები... ადამიანები. ვაკვირდები ყველაფერს და ყველას.

— კლარა, კლარა! საიდან, როგორ?! — მესმის ნაცნობი ხმა, მერხიდან ჭაღარა ქალი დგება, მეხვევა, მკოცნის.

— კატერს ჩამოვყევი ქობულეთიდან. თქვენ, ქალბატონო მერი?

— მე კარგა ხანია აქა ვარ.

— კიდეც იმიტომ ველარ გხედავდით „ცენტროლიტში".

— მარტო ხართ, თუ ვინმე გახლავთ?

— მარტო, სულ მარტო.

— ამდენი ხანია თქვენი წიგნები ისევ ხელზე მაქვს, ხომ არ მიწყრებით?

— ვიდრე გჭირდებათ, გქონდეთ, ასეთი წიგნების მკითხველი მაინც და მაინც არა გვყავს.

— მოგშივდებოდათ, წავიდეთ ჩემთან... თუმცა, არა, აქ შევიდეთ რესტორანში, ერთს ველოდები, ძებნას დამიწყებს.

მორჩილად მივყვები, ყველაფერზე მეტყობა, ამგვარი მორჩილება რომ თავაზიანობის მიზეზია. ქუჩა თავდება. აქეთ-იქით ვიხედები, ცნობისმოყვარეობით ვაკვირდები ყველაფერს.

— პირველად ხართ ბათუმში? — მეკითხება ქალბატონი მერი.

— პირველად.

— ფრთხილად! აქეთ! არ ჩავარდეთ!.. ახალ ნავსადგურს აკეთებენ, ამიტომაა ყველაფერი აყრილ-დაყრილი.

მაგიდასთან ვსხდებით თუ არა, ჩემი ნაცნობი ქალი ბოდიშს მიხდის, სწრაფად დგება, კარებში შიმავალ მაღალ მამაკაცს ეძახის — მისკენ სწრაფი ნაბიჯით მიდის. მისი კოხტა, ცოცხალი სიარული თბილისის, „ცენტროლიტის" ერთ ადრინდელ დილას მაგონებს.

* * *

...ჩვენი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შემოდის მაღალი, ჭაღარა, ძალიან ლამაზი, მოხდენილად ჩაცმული ქალი, პირდაპირ ჩემკენ მოდის, მესალმება:

— უკაცრავად, ახლა თქვენ მუშაობთ თამარის ადგილზე? — მეკითხება.

— დიახ, — ვუპასუხე.

— სასიამოვნოა. თამარი თუა კმაყოფილი ახალი სამსახურით?

თავს ვუქნევ.

— თუ არ შეწუხდებით, ერთი რამ მინდა გთხოვოთ, თუმცა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე თქვენი ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველი ვარ.

ხელს ვუწვდი და ხმადაბლა ვამბობ — კლარა.

— კლარა, თუ შეიძლება... კამჩატკის შესახებ იქნებ რაიმე მოიპოვება თქვენს ბიბლიოთეკაში?

უცბად პასუხს ვერ ვაძლევ.

— სახელდობრ, რა?

— აი, მაგალითად, რაიმე ცნობები სახალინზე, კამჩატკაზე, მათს ახლო-მახლო ადგილებზე.

ვატყობ, ქართული უჭირს. ვეძებ სისტემატურ კატალოგში, მერე მეცხრე განყოფილების გეოგრაფიულ თაროზე. განყოფილების თითოეული წიგნის სარჩევში ვეძებ. მაგრამ არაფერი გამოდის.

— რაც თქვენ გნებავთ, ის ჩვენს ბიბლიოთეკას არ გააჩნია. თუ არ გეჩქარებათ, ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკიდან გამოგიტანთ, ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით. ჩვენ, მასობრივ ბიბლიოთეკებს, გვაქვს ამის უფლება.

თავს მიკრავს, თავაზიანი ღიმილით მემშვიდობება;

— ძალიან დამავალებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

...და, აი, როცა ეს „СВОЁ“ გაწუხებთ, რას შვრებით მაშინ? — ვეკითხები.

იგი თავს ხრის, ხელებს იფარებს სახეზე, მხრები უთრთის.

— ტირით?

სიტყვიერი თანაგრძნობის უნარიც მესპობა, გული მწყდება, მაინც რა არის სიბერე, სიმარტოვე! ულამაზესი ქალი მამაკაცების გვერდით მთელი წლების მანძილზე! ისიც ომის მძიმე წლებში ებრძოდა ტალღებს, შიმშილს, სიკვდილს... ახლა კი აქ, ჩემთან თავს ვერ იკავებს.

ვუყურებ და ვფიქრობ: რამ აიძულა ზღვაზე გასულიყო. შტურმანიო?! ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასეთი ქალი ოდესმე შტურმანი თუ იქნებოდა. მეუღლე რომ გვერდით ჰყოლოდა, სხვა ამბავია, მაგრამ მარტოს, ისიც ამდენ მამაკაცში რამ გაბედვინა?! რომანტიკამ?! ცხრა წელი ზღვაზე — ეს უკვე რომანტიკა აღარ არის.

დიდია, უცნაურია, სამყაროსავით უკიდეგანოა ადამიანის ბუნება.

— კლარა, მაშ გადაწყვეტილი გაქვთ დღესვე გაბრუნდეთ უკან?

— აუცილებლად. მე აქ არავინა მყავს, პასპორტიც არა მაქვს თან. ვისარგებლე მომენტით და სასეირნოდ გამოსულ ხალხს გამოვყევი კატერზე, მინდა მოვასწრო ქალაქის დათვალიერება. საღამოს მატარებელს ან ავტობუსს გავყვები ისევ.

— დარჩით ჩემთან! პასპორტიც რომ გქონდეთ, ისეთი დროა, მოზღვავებულია ხალხი, გაჭედილია ქალაქი. სასტუმროში ადგილს ვერ იშოვით. ნუ მომერიდებით, მოზრდილი ოთახი მაქვს დაქირავებული, ყოველ წელს აქ ვისვენებ.

— არ შემიძლია, ჩემი დეიდა ვერა ინერვიულებს.

— დეიდა ვერა ვიღაა?

— ვერა ჰქვია ქალს, ვისთანაც ვარ.

— კლარა, მაპატიეთ, — თვალებით მანიშნა თითებს შუა გაჩხირულ სიგარეტზე, მერე სწრაფად მიატრიალა თავი ზღვაში გასული ღია ფანჯრისკენ. კარგა ხანს უყურებდა ნავსადგურში გაჩერებულ ორ, თეთრ ხომალდს.

— ორი კვირაა აქ დგანან, უცხოეთის გემებია.

არაფერი ვუპასუხე, რადგან მის ფიქრიან თვალებში სინათლე ლივლივებდა. არ მინდოდა ჩემი შეკითხვებით ან პასუხით ხელი შემეშალა, რაკი ეტყობოდა, ეს სინათლე — კეთილი ფიქრი, მოგონება იყო ვიღაცაზე.

— კლარა, დარჩი ამაღამ! მარტო ამაღამ, ნუ მიმატოვებ!..

— არ შემიძლია. არაფრით არ შემიძლია!

* * *

ვუყურებ და ვგრძნობ მის შეშფოთებას, რასაც უნებურად ყველაფერში ამჟღავნებს. შევეკითხო რამე? ვითომ გამანდობს? იქნება გულახდილი?.. იქნებ ამ შეკითხვამ წამალივით მიუსწროს ტკივილზე, მალამოსავით დაედოს; იქნებ მხოლოდ ეს პატარა ბიძგი — ჩემი შეკითხვაა? იქნებ საკმარისია ერთი მგრძნობიარედ შევხედო, რომ დაიწყოს?.. რა ვიცი...

* * *

— „კლარა ამაღამ დარჩი, მარტო ამაღამ, გესმის, ნუ მიმატოვებ“.

— „არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლია!“

* * *

ამის მერე, კიდეც რომ დავრჩე, ალბათ აღარაფერს მეტყვის. ამგვარი უარი — ჩემგან, არაადამიანურია, დაუფიქრებელი, — ვფიქრობ და ვგრძნობ: ძალიან მიჭირს ადგომა. ერთი ჭიქა კონიაკი სულ ფეხებისაკენ წასულა, იმიტომაც მიჭირს ადგომა, სულიც ამიტომ დამიმძიმდა.

ჩემი მზერა ახლა ქათქათა ხომალდებზე გადადის. ვფიქრობ ცისფერ და შავ ყაყაჩოებზე, ნეტავ მართლა თუ არსებობენ ისინი ჰავანაში, როგორც ამას ერთი შორეული ცურვის კაპიტანი გვამცნობს?

რამდენი ქვეყანა, ოკეანე, ზღვა აქვს ნახული და რამდენ ადამიანს შეხვედრია ეს თეთრთმიანი ქალი!

— ქალბატონო მერი, დაამთავრეთ წიგნი თუ ისევ მუშაობთ?

გვიან მპასუხობს:

— მასალა ძალიან ცოტა მაქვს, საკუთარი არ მყოფნის, — არც მიყურებს, ისე ამბობს.

— რა ხასიათისაა თქვენი შრომა, მხატვრული თუ მეცნიერული?

— მოგონებებია წარსულზე. უფრო სწორად, მეც არ ვიცი რა არის.

ვხედავ არ სიამოვნებს ამ თემაზე საუბარი. ორივეს გვიჭირს ხმის ამოღება. თვალებში ვატყობ — ნაწყენია ჩემზე. გარეგნულად კი არაფერს იმჩნევს.

— კლარა! — ფეხზე დგება, — გამოგყვები ქალაქში. რაკი პირველად ხარ, მეგზურობას გაგიწევ, — გამომცდელად მიყურებს მწვანე, მრგვალი თვალებით. თავს ვხრი, მიჭირს ადგომა. გული მწყდება. რაღაც ვერ აეწყო, ვერ აება ჩვენი საუბარი ადრინდელივით — იქ — „ცენტროლიტში“, ბიბლიოთეკაში, რომ გვქონდა ხოლმე.

მაინც რა ცოტა ვიცი ამ ქალზე! რომ დავრჩენილიყავ, დავყოლოდი მის სურვილს, მაშინ ალბათ ბევრს გავიგებდი. ნუთუ სულ არ ჰყოლია მეუღლე? შვილი? ან დიდი გზის რომელ ნაწილში დაკარგა და როგორ? ან არავინ ჰყვარებია? ან არ უყვარს? ვის უნდა შეხვედროდა ახლა? ან ვინ იყო ის მაღალი, ლამაზი კაცი, რა საქმე ჰქონდა მასთან?.

* * *

...ის იყო სამუშაო ხალათი ჩავიცვი და მივუჯექი საწერ მაგიდას, რომ ნაცნობი ხმაც მომესმა:

— გამარჯობათ, კლარა!

ავიხედე: მერი! ერთი კვირის წინ, გაზეთში, მისი პიესის თაობაზე პატარა ცნობა წავიკითხე. სწრაფად გამოვაღე უჯრა, შემონახული გაზეთი ამოვიღე.

— გილოცავთ! გულწრფელად მიხარია თქვენი წარმატება, კონკურსში გამარჯვება.

— მჯერა, გმადლობთ. თქვენ ნამდვილად გესმით, იცით შემოქმედების ფასი. იმ ვიწრო წრეში, სადაც მე მიხდებოდა ცხოვრება და ადამიანებთან ურთიერთობა, თქვენ განსხვავდებით, გარჩევდით ყველა ჩემი ნაცნობიდან. ამიტომ პირველადაც თქვენთან მოვედი ჩემი სიხარულის გასაზიარებლად.

სკამი გამოვწიე, დაჯდომა შევთავაზე:

— მაშინ კი გაწყენინეთ.

— ის მომენტის ამბავი იყო, შენც არ გინდოდა, ისე მოხდა, დავანებოთ იმას თავი, უკვე ორი წელია არ მინახიხართ, არა?!

— დიახ. უმცროსი იყავი და მეგონა მოხვიდოდი.

— მე კი არ მოვედი, — ვთქვი ხმადაბლა. — და აი, ისევ თქვენ მოგიყვანეთ.

— ხდება ხოლმე ასე.

— ქალბატონო მერი, — ვკითხე მცირეოდენი პაუზის შემდეგ, — ვინ იყო ის მაღალი, ლამაზი კაცი?

— მოგეწონა?

— ძალიან!

— ის მართლაც ძალიან ლამაზი კაცი იყო ახალგაზრდობაში; ჩემი ყოფილი მეუღლეა.

— ასეც ვგრძნობდი. გაცილდით?

— ასე ვთქვათ. მას აქეთ 32 წელია. შვილი არ მეყოლა.

— და ამიტომ?

— თითქმის... მას ძალიან უნდოდა.

— მერე?

— მერე სხვა უსიამოვნებაც დაემატა, სხვა ქალთან გაება. მაშინ რიგაში ვცხოვრობდით. მაგიდაზე დავტოვე ორსიტყვიანი ბარათი: „მივდივარ, ნუ მეძებ“. დავტოვე ყველაფერი.

— ალბათ ძალიან ახალგაზრდა იყავით მაშინ.

— ოცდასამი წლის.

— არ მოქცეულხართ კარგად.

— იმ ხანებში და საერთოდაც სხვანაირად არ შემეძლო.

— არ უძებნიხართ?

— ვერ მომაგნებდა, თუმც ვინც აინტერესებთ, ქვესკნელშიც მოძებნიან. ჩემი ხასიათის ეს თვისება — სიამაყე — ყველაფერში ბოლომდე გამყვა. და, უნდა ვაღიარო, ახლა და ახლა ვტყდები... მაშინ, ბათუმში რომ დარჩენილიყავი, მთელ ჩემს უმწეობას დაინახავდი. ისე ვიყავი მარტოობისაგან დაბნეული, შეწუხებული, რჩევასაც კი გკითხავდი, როგორც პატარა ბავშვი, პატარა გოგო... მეორე დღეს მიდიოდა და მხოლოდ ჩემს პასუხს უცდიდა, შევბულებით ესარგებ-



ლა და მომნახა, ამჟამად პენსიონერია. ცხოვრობს ისევ ჩვენეულ ძველ სახლში, რიგაში.

— უარი უთხარით? — შევეკითხე.

— უარი. თუმცა ძალიან ვჭირდებოდი.

— როგორ?

— მეუღლე გარდაცვლოდა, ორი შვილი შორს ჰყავდა, მარტო იყო. თანაც გულით ავადმყოფია.

— თქვენც მარტო, ისიც მარტო. თქვენს ასაკში საჭირო იყო პატრონი, მეგობარი.

— მაშინ ამას ვერ გავაკეთებდი, — ჩემს მიერ მიწოდებულ გაზეთზე მიმითითა, — თანაც ჩემი ახალგაზრდობა მარტომ გავატარე. იმ ქარიშხალმა მაიძულა მეორე ქარიშხალს შევბმოდი. დანგრეულმა პირადმა ცხოვრებამ გამიყვანა ზღვაზე. რომ იცოდე, როგორ მიყვარდა! ის ბედნიერი იყო, როცა მე, გაძარცვულმა, ზღვას მივანდე თავი. სანამ მივეჩვეოდი საქმეს, ხალხს, ზღვას, ცოტა რამ გადავიტანე?! ახლა ვისვენებ... დანაზოგით ვიყიდე უბრალო სახლი ბაღით, ყველაზე მივარდნილ კუთხეში, მტკვრის პირას. იმ კაცმა დაკარგა მეუღლე. შვილებს ოჯახები აქვთ და მისგან შორს არიან. ცხოვრების ნაკლი ისევ მე უნდა შევუვსო?.. კი ბატონო, მაგრამ დარჩენილი წლებიც მას შევწირო? ვთქვათ და ასე გადავწყვიტე, სამაგიეროს რით დამიბრუნებს? თანაც, ჩემს ასაკში...

დუმილი ჩამოვარდა კარგა ხანს.

— ჰო, დღეს დილიდანვე სამი რამე მიხარია: ერთი — თქვენ რომ უნდა მენახეთ, მეორე — მივიღე წერილი რეჟისორისაგან, რომელმაც ჩემს პიესას ხელი მოჰკიდა დასადგმელად. და... ბარათი მისგან ჩამოდის.

— მაინც გიხარიათ?!

— სიხარულით კი, ახლა მაინც. არ ვიცი, იქნებ სიმარტოვის, ან სიბერის ბრალია. მის მერე ორი წელი გავიდა. ადამიანები ვიცვლებით.

— ისევ მარტოა?

— მარტოა. — მერე მორიდებით, დაწეული ხმით გააგრძელა, თითქოს ბოდიშს იხდისო:

— იცი, ტყდები ადამიანი, როცა გრძნობ, ვილაცისთვის დასაყრდენი ხარ, აუცილებელი ხარ...

* * *

...იმ დღეს თბილი სევდა შემოვიდა ჩემს სულში და თითქოს ძილშიც შემყვა სევდის ის სითბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალე გოგოხიძე

## ჰიმნი მშრომელი ქალის სიყვარულისა

მძლავრი გაქანების
ჰქუხან მანქანები,
გვყვანან სხვა ქალები,
გულიც სხვა გულია:
შრომობს, განა სძინავს?
ფრინავს, ციდან ბრწყინავს,
იტანს სუსხს და ყინვას,
განა ჩაგრულია?!
იცან, რომელია? —
დაუდგრომელია!..
ვინაც მშრომელია —
გივსებს გრძნობის თასებს;
მე კი სიხარულით,
განა სიბრალულით?
მისი სიყვარული
სულში მოვათავსე.
ეგზომ ნაზი, ქერა —
მერგო ბედისწერად,
ვიცან წრფელი ცქერა,
ის ჩემს სევდას ერთვის;
ჩემკენ მოიჩქარის,
მოაქვს ტრფობის ქარი,
სხივთა მოისარი —
მხიბლავს ერთადერთი.
ია და ვარდია,
ზვირთთა ნავარდია,
წმინდა ლაჟვარდია,
ტანით ტატანია;
კდემით შემკულია,
ფიცით შეკრულია,
ვიცი, ერთგულია,
ბევრის ამტანია.
ჰანგმა დარდიანმა
ღრუბლად გადიარა
მწვავდა რაც იარა —
გაჰქრა, გავხალისდი;

ახლა სხვა დრო არი,
არც რამ ჯადო არი,
გრძნობაც სანდო არი —
ტრფობა მარადისი.

ნელი გაგრიჩიძე

## მერი

უხმოდ დგება თუბალი,
მისი თავსასთუმალი —
სალამური მჟღერი.
ნახა შენი უბანი,
მოდის, როგორც უფალი,
მოდის, თითქოს მღერის.
მასაც ერთი კითხვა აქვს,
მისთვის გიხმობს სტუმარი,
მზესთან შენაფერი:
არსებობდა თუ არა,
არსებობდა თუ არა,
არსებობდა მერი?!
რა სიგიჟის სადავე,
რა ტკივილის სათავე,
რა სათუთი ჩქერი:
რა ქარს გაჰაატანე,
როგორ ჩამოათავე
მწუხარება, მერი.
მეფე ლირს თუ ხუმარა
დაჰყვებოდა მდუმარი,
შენთვის ვინ ფქვა ქერი.
არსებობდა თუ არა,
არსებობდა თუ არა,
არსებობდა მერი?!
მეორდება მარადის,
სულს რომ გადაუარა —
ელვარება შქერის.
აღარ გკითხავ არასდროს,
არსებობდა თუ არა,
არსებობდა მერი?!
არის ქვეყნად ღალატი,
მწუხარე და მარადი,
შელამების ფერი.
მოგვდევს კუბოს კარამდი,
გაუხსნელი ბარათი —
სინანული: მერი!

## თეთრი გვირილა

ო, შენ იყავი საოცრად ფრთხილი,
გეცვა ყინულის სქელი სკაფანდრი,
და მშვიდ თვალებში მომწყვდეულ ღიმილს
ებრძოდი უხმოდ და ინახავდი.
და მოწყალების გაცემას ჰგავდა
შენი ყოველი სიტყვა და ჟესტი,
როგორ ცდებოდი საკუთარ თავთან,
თურმე რამხელა სიყვარულს თესდი.
თურმე ჩემს მიწას, დაბზარულს გვალვით
ენატრებოდა სწორედ ყინული,
ვთრთოდი, აღსავსე უმიზნო კრძალვით,
აჯანყებული და განწირული.
ვით აგანთებდა სინაზის კვარი,
იყავ ვულკანთა გადამლახველი,
ამაოდ ცდილობს გრძნეული ქარი,
რად მომიტანა შენი სახელი.
მაგრამ ყინულში რამდენხანს გასძლებ,
მზით მოვლენილი, მიხვალ მზესთანვე.
თეთრი გვირილა აგდია გზაზე,
ფეხს ნუ დაადგამ, შენი კვნესამე..

## ქარვა

რამდენი ლექსი დაეტევა ფარვანას ფრთაზე,
რამდენხანს იფრენს ასეთი ტვირთით?
ო, რა წუხილით აგივსიათ საჩემო თასი,
თქვენ, ვისაც ასე კეთილად გთვლიდით;
ადრე თუ გვიან, მე ვიცოდი, გვიან თუ ადრე,
ეს იქნებოდა და წინასწარ მეწვოდა მხარი.
და ანთებული ფრთების შუქზე ისეთი ჩანდით,
ვით ქანდაკება სულ უზადო, ვეება ქარვის.
მიმოდიოდა ირგვლივ ქარი და გინათებდათ,
და თქვენში ხმობდა ჯერ არნახულ, უბადლო ხაზებს;
უკანასკნელი ეს სიმღერა კიდევ მმართებდა,
რამდენი ლექსი დაეტევა ფარვანას ფრთაზე...

## სურათი

გააქვს ფრთხიალი თავწაჰრილ მამალს —
ნოემბრის ტყეებს, ქარებით რბეულს;
დასაკარგავი ნეტავი რა მაქვს,
თან დავატარებ გაცრეცილ რვეულს.

ეს არის ჩემი საქსოვ-სართავი,
ცას მინდობილი აფრად, ანძებად,
და როგორც ძაფი გაუსანთლავი,
წყდება სტრიქონი და იკვანძება.

არ ვნაღვლობ, მხოლოდ სინათლედ მენთოს
მამულის ტრფობა ძნელად სათქმელი.
ქარო, ფიქრები არ დამიფეთო,
ჯერ არ ჩამიქრო, ქარო, სანთელი.

მეწამულ ფერთა დგას რია-რია,
ჩემო ქალაქო, ნუ დამშვიდდები;
მიწაზე ჭრელი ბუმბული ყრია,
მკერდს მეხლებიან ჭრელი ჩიტები...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სკოლა ინტერნაციონალურია

აქ სწავლობენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, ებრაელები, სომხები, ბულგარელები, ბერძნები. მათი პედაგოგებიც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან. ეს სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა გახლავთ, რომელიც 1937 წელს გაიხსნა რკინიგზელთა ქალაქში. სკოლის დაარსებაში დიდი ამაგი მიუძღვის ვეტერან კომკავშირელს, სკკპ წევრს 1930 წლიდან ტატიანა მიხეილის ასულ გეგუჩაძეს.

ამ სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს ცხოვრების საგზლად მიჰყვებათ სამშობლოს დიდი სიყვარული, მოძმე ერების შვილების გატანისა და ძმობის უნარი, პატიოსანი და შემოქმედებითი შრომისაკენ მისწრაფება.

ტატიანა მიხეილის ასული დაარსების დღიდან დღემდე ამ სკოლის დირექტორია. დღეს ისევე, როგორც ყოველთვის, სკოლა მოწინავეა მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლებით და სანიმუშო დისციპლინით, გამოირჩევა ინტერნაციონალური სულით, შრომისმოყვარეობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში შევიდა ტატიანა მიხეილის ასული კომკავშირის რიგებში, ის, როგორც მოწინავე ახალგაზრდა, მასწავლებლად გაგზავნეს რაიონში, სადაც სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობასაც ეწეოდა მოსახლეობაში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა სამტრედიის რკინიგზის სკოლაში და ბავშვებს ისტორიას ასწავლიდა. მალე ტატიანა მიხეილის ასული სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად დააწინაურეს.

იმ ხანებში რაიონის სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან სამტრედიაში სამუშაოდ ჩამოსული კადრები. სწორედ მათი შვილებისათვის გაიხსნა სამტრედიაში რუსული სკოლა.

ტატიანა გეგუჩაძემ, როგორც ამ სკოლის დირექტორმა, თავის გარშემო შემოიკრიბა ჯანსაღი, შრომისმოყვარე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, და რა თქმა უნდა, ამანაც განაპირობა ის დიდი მიღწევები, რაც დღეს აქვთ. ბევრი პედაგოგი ამ სკოლის კედლებშია აღზრდილი — ვალენტინა ბუხანოვა, ვალენტინა გილკა, ლულუ გეგეჭკორი, ნუნუ სირაძე, ციური სადრაძე, ტატიანა კომაროვა, ნათელა ჯაში. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შრომობენ და მოღვაწეობენ ამ სკოლის კურსდამთავრებულები. თბილისში მუშაობენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ნანეიშვილი და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ო. ნამიჩეიშვილი, ლენინგრადში ერთ-ერთი საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერია ვიტალი ფუნტოვი, ბაქოს ერთ-ერთი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკია ლარისა გაიდაროვა, როსტოვის არქიტექტურის ინსტიტუტის თანამშრომელია მონია კოტლიარსკი, მოსკოვის საავიაციო-საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერია ხუსეინ ბეში-ოღლი, მოსკოვში მუშაობს ალექსანდრე ოსტოუხოვი (მან ბაუმანის სახელობის ინსტიტუტი დაამთავრა).

არცერთი მათგანი არ ივიწყებს სამტრედიის სკოლას, თავიანთ აღმზრდელს — ტატიანა მიხეილის ასულს, მიწერ-მოწერა აქვთ მასთან. აი, რას წერს შორეული პოლარეთიდან ანგელინა სმირნოვა, რომელიც ნორმადარად მუშაობს მაღაროში:

„მე დედა არა მყავს, თქვენ დედის მაგივრად გიგულვებთ“.

მკაცრი და სამართლიანი, — ასეთია იგი თავის მოსწავლეებთან, ასეთია იგი ოჯახში, შვილებთან. ერთნაირად იმარჯვებს მისი აღზრდის მეთოდი სკოლაშიც და შინაც. ოთხი ვაჟკაცი, 4 კომუნისტი კარგ სპეციალისტად აღუზარდა ტატიანა მიხეილის ასულმა სამშობლოს. უფროსი ვაჟი ოთარ ლორთქიფანიძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია და მეცნიერ-მუშაკად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, მეორე ვაჟი — მამია დედის კვალს გაჰყვა, ისტორიკოსია და სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის დირექტორია, გივი და გელა — მომდევნო ვაჟები; ინჟინერ-ტექნოლოგებად მუშაობენ სამტრედიაში. ახლა რვა შვილიშვილის მომავალზე, მათ აღზრდაზე ფიქრობს სკოლის დირექტორი. კარგ ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს ოჯახიც სანიმუშო აქვს.

**სპირიდონ კიკაჩეიშვილი,**
**სკკპ წევრი 1917 წლიდან.**



# სიმართლის ძიებაში

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც გათენებამდე ადგა. შვილებს რომ არ გაღვიძებოდა, ფეხაკრეფით გავიდა თავის სამუშაო ოთახში. წიგნების კარადა გახსნა და დასტა-დასტა გადმოიღო საზედამხედველო წარმოების დასკვნების ასლები, საბრალდებო სიტყვების ტექსტის ჩანაწერები, ჟურნალ-გაზეთებში მის მიერ დასტამბული ლექსები და წერილები. სათუთად გადაუსვა ხელი: „დღემდე არ მეცალა, ახლა კი თქვენთვის მოვიცლიო“, — ისე უთხრა ქაღალდებს, თითქოს ადამიანებს ელაპარაკებოდა.

„მაინც შრომაში და ბრძოლაში რა უცბად გაფრინდა ორმოცდათხუთმეტი წელი?“ — გაიფიქრა და მწარედ გაიღიმა.

ძნელია, ძალიან ძნელი, ამ მოვალეობების შეთავსება: იყო კარგი დედა და ოცდაცამეტი წელი იდგე კანონიერების სადარაჯოზე, ოცდაცამეტჯერ სამას სამოცი დღე თუ ღამე იმაზე გაწვალებდეს ფიქრი: „უდანაშაულოდ ხომ არ დავსაჯე ადამიანი?“, „კანონიერად მიეგო?“, „იქნებ მკაცრი იყო სასჯელი...“

მძიმედ დაიწყო ოლია ზანგურის ცხოვრება.

ცამეტი წლის იყო, როცა კასპის რაიონის ოკამის კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობდა და თან წერა-კითხვას სწავლობდა დანგრეულ ეკლესიაში (ოკამელებს სკოლის შენობა არ ჰქონდათ). მერე ბეჯითი ქალიშვილი 1936 წელს სასოფლო საბჭოს მდივნად დანიშნეს, იმავე წელს ლენინური კომკავშირის რიგებში მიიღეს.

კომკავშირელი გოგონა სამი წლის მანძილზე სოფლის აგიტატორი და კომკავშირის პოლიტწრის ხელმძღვანელი იყო, ამასთან სოფსაბჭოსთან არსებულ რევოლუციური კანონიერების სექტორს თავმჯდომარეობდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ოლიამ გადაწყვიტა დაუფლებოდა იურიდიულ მეცნიერებას, მაგრამ მის ჩანაფიქრს ჯერ მამა გადაეღობა წინ, მერე უსახსრობა. სწავლის წყურვილმა კი მოსვენება დაუკარგა. იძალა ოლიამ, შეაგროვა თავისი ნაშრომი კაპიკები და 1938 წელს თბილისში ჩამოვიდა, საშუალო სკოლაში დაიწყო სწავლა.

1940 წელს ოლიას აუხდა ოცნება: წარჩინებული მოსწავლე უგამოცდოდ მიიღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტიპენდია იყო მისი საარსებო წყარო, უჭირდა და მაინც ბედს არ ემდუროდა. მაგრამ დაიწყო ომი და ყველაფერი თავდაყირა დადგა. სტიპენდიები მოიხსნა. ოლია ზანგური საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელ ფილიალში გადავიდა და ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოში სხდომის მდივნად დაიწყო მუშაობა. კეთილსინდისიერი მუშაკი მალე ვანის რაიონის პროკურატურაში გაგზავნეს გამომძიებლად.

შეშფოთებული მიემგზავრებოდა ახალბედა გამომძიებელი ვანში. ადამიანის ბედის გადაწყვეტა, მრუდისა და მართლის მისხალ-მისხალ გარჩევა არც თუ ისე ადვილი საქმეა. „ადამიანის ნდობა და სიყვარული მხოლოდ რჩეულების ხვედრია, თუ დამნაშავემ იგრძნო, რომ შენ ნდობით ეპყრობი, შეიძლება მან გულწრფელად მოინანიოს თავისი დანაშაული“, — აგონდებოდა ოლიას რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის — გრიგოლ ბიწაძის ნათქვამი.

გრიგოლ ბიწაძე ოლიასათვის ადამიანის ეტალონი იყო მუდამ.

ადამიანებისადმი გულისხმიერმა და ჰუმანურმა დამოკიდებულებამ სულ მალე მოუხვეჭა ახალგაზრდა გამომძიებელს ავტორიტეტი. კიდევ უფრო შეიყვარეს ვანელებმა ოლია მაშინ, როცა მან საინტერესო საქმე გახსნა:

ოლია ზანგურის კაბინეტის ფანჯარა პურის მაღაზიას გადაჰყურებდა. გამომძიებელი დილაუთენია ხედავდა უზარმაზარ რიგებს მაღაზიასთან. „ახლა ხომ საბარათო სისტემაა, რატომ არის ამოდენა რიგი?“ — დაეჭვდა ქალი. დღის ბოლოს შევიდა მაღაზიაში. მოჭრილი ტალონებით სავსე კალათა აიღო. ტალონები გაზეთში შეახვია და რაისაბჭოს აღმასკომში წავიდა. აღმასკომის მდივანს ადგილობრივ მცხოვრებთა სია მოსთხოვა. მდივანი დაიბნა, მაგრამ სიას გამომძიებელს ხომ არ დაუჭერდა! დაკვირვებით შეამოწმა სია. ახალგაზრდა გამომძიებლის ეჭვები გამართლდა — სიაში უამრავი მკვდარი სული აღმოჩნდა... მდივანმა აღიარა დანაშაული. თურმე სტამბაში იბეჭდებოდა ყალბი ბარათები. უსინდისონი ჯიბეს ისქელებდნენ, მშრომელები კი უპუროდ რჩებოდნენ. ყალბისმქნელებს თავისი მიეზღოთ. მაგრამ, ვიდრე ბოროტმოქმედნი დაისჯებოდნენ, მათ საკმაოდ ბევრი ქომაგნი გამოუჩნდათ. ოლიას აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

— საოცარია ადამიანის ბუნება, — ამბობდა იგი გულისტკივილით, — ჯიბგირმა თუ ვინმეს ხუთი მანეთი ამოაცალა, ქვეყანა შეიყრება, ყველა ზიზღით უყურებს ქურდს, მაგრამ მას, ვინც სახელმწიფოს მილიონობით წაგლეჯს და ჯიბეებს ფულით გაივსებს, ზოგიერთები კაცურ-კაცს ეძახიან.

25 წლის ქალიშვილი უკვე დუშეთის რაიონის პროკურორის თანაშემწეა. მერე კვლავ თბილისი, ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლეობა. 1948 წელს ოლია ზანგური უმაღლესი სასამართლოს წევრად აირჩიეს...

ვინ მოსთვლის, წლების მანძილზე რამდენი სხვადასხვა პროფესიის, რამდენი სხვადასხვა ხასიათის ადამიანთან მოუხდა შეხვედრა. ძნელია ჩასწვდე ადამიანს აფორიაქებულ სულში. ამიტომ ოლია ასჯერ განსჯიდა, ათიათასჯერ აწონიდა და მისაგებს ისე მიუგებდა. „არც ერთი უდანაშაულო არ უნდა მობვდეს საბრალმდებლო სკამზე, — ამბობს ოლია. თორემ მართლის დასჯა, ჯერ მართლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯულებას გაუტეხს სახელს, მერე თვითონ მოსამართლეს. ესეც რომ არ იყოს, სად გაექცევი სინდისს!“ ოლია ზანგური კი მუდამ კანონს და სინდისს ემსახურება...

თავისი პროფესიის ერთგული და მოყვარული ქალი, 1952 წელს რესპუბლიკის პროკურატორაში სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად გადაიყვანეს. აქაც უნარი გამოიჩინა — სისხლის სამართლის ყველა საზედამხედველო საქმეს კრიტიკული თვალით შეხედა. „ხომ შეიძლება, მოსამართლე შემცდარიყო“, — ფიქრობდა იგი და სისხლის სამართლის საქმეს ფურცელ-ფურცელ კითხულობდა, ყველა დეტალს ჩაჰკირკიტებდა. ამიტომ მის მიერ შექმნილ სამეთვალყურეო წარმოებაში ხშირად წაიკითხავთ გაპროტესტებულ საქმეებს...

სამამულო ომის ინვალიდი, კომუნისტი, მძიმე ფორმის ტრომბოფლებიტით დაავადებული ალექსანდრე კვირიკაშვილი მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეკარის პურის საცხობის გამგედ მუშაობდა. მოსახლეობის თხოვნით მან სოფელში პურის ფქვილი შემოზიდა და თითო ტომარა ფქვილში 2 მანეთი ზედმეტი აიღო. კვირიკაშვილი დააკავეს. მან თავი იმართლა იმით, რომ რაიკავშირმა არც ტრანსპორტი მომცა და არც გადმოსატვირთი ხარჯებიო. ესე იგი, მან დანაშაული ფქვილის გადმოსაზიდ ხარჯების დაფარვის მიზნით ჩაიდინა. რატომღაც მაიაკოვსკის სახალხო სასამართლომ არ გაუწია ანგარიში იმას, რომ რაიკავშირმა უბიძგა ა. კვირიკაშვილს დანაშაულისაკენ და მას წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ოლია ზანგურმა განაჩენი მკაცრად ჩასთვალა. დაწერა პროტესტი და ითხოვა პატიმრობა სამი წლით გამოსაცდელი ვადით შეეცვალათ. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა.

ოცდაცამეტი წლის მანძილზე ოლია ზანგურს მრავალი ადამიანის ბედის გადაწყვეტა მოუხდა. ბევრს გულწრფელად დაეხმარა და სწორი გზა უჩვენა. უამრავ საბრალმდებლო დასკვნას და განაჩენს მოაწერა ხელი. ძალიან ბევრი დედის, ცოლის თუ შვილის ტკივილი გაიზიარა. წლების მანძილზე იკვლევდა იმ მიზეზებს, რამაც ადამიანს დანაშაულისაკენ უბიძგა. ცდილობდა რაღაც გამამართლებელი ეპოვა. „დასჯა ადვილია, საქმე ისაა, დამნაშავეს შეაგნებინო, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი“, — მუდამ ასე ფიქრობდა პროკურორი და ოლიას სამართლიანობაში არასოდეს არავის შეპარვია ეჭვი. ამიტომაცაა მისი პირადი საქმე უამრავი მადლობებით, საპატიო სიგელებით და მედლებით სავსე...

...ფიქრებში, სიმართლის ძიებაში, ღელვაში გაფრინდა წლები...

ამას წინათ ამგვარი ქალი პენსიაზე გააცილეს კოლეგებმა. ტრიბუნაზე ორატორი ორატორს ცვლიდა, ყველა გამომსვლელის სიტყვაში ოლიასადმი სოლცარი სითბო და დიდი პატივისცემა იგრძნობოდა.

ოლია რევია

# ბაბილინა ხოსიტაშვილი



(დაბადების 90 წლისთავის გამო)

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე ლექსები, რომელსაც ხელს აწერდა „მუშა ქალი“. ამ ლექსების ავტორი პოეტი ბაბილინა ხოსიტაშვილი იყო. მისი პირველი ლექსი „ხმა ჯურღმულიდან“ დაიბეჭდა 1906 წელს.

არალეგალური სტამბის ასოთამწყობი ბაბილინა კარგად იცნობდა მუშათა ცხოვრებას და თავის სახელოვან ძმასთან, პოეტ იროდიონ ევდოშვილთან ერთად თავისი პოეტური ჰანგი მაშვრალთა გმინვას აუწყო.

ბაბილინა ხოსიტაშვილი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. ცნობილია მისი თარგმანები — ვ. ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“, ლერმონტოვის „მწირი“ და სხვა. ბაბილინა ხოსიტაშვილი ნაყოფიერად მუშაობდა ქართულ საბავშვო პოეზიაშიც. ხოლო მისი ცნობილი ლექსი „თოვლის კაცის ოინები“ წლების მანძილზე სასკოლო სახელმძღვანელოში იბეჭდებოდა.

წელს ბაბილინას დაბადების 90 წლისთავია. პოეტი ქალი ამ დღეს ვერ მოესწრო, მაგრამ ქართულ პოეზიაში მუდამ იცოცხლებს მისი მგზნებარე, კეთილშობილი პათოსით სავსე ლექსები.



# ალექსანდრა ჩხენკელი

მისი პირველი მოთხრობა „სიცოცხლე და სიკვდილი“ 1924 წელს დაიბეჭდა ჟურნალში — „თეატრი და ცხოვრება“. აქედან მოყოლებული, ოციან-ოცდაათიან წლებში პრესის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი მოთხრობები, ნოველები, ნარკვევები, წერილები...

იყო ჟურნალ „მშრომელი ქალისა“ და შემდეგ ჟურნალ „რემედასის“ პასუხისმგებელი მდივანი.

განსაკუთრებული ღვაწლი დადო მწერალმა ქალმა საინგილოსა და ინგილო ბავშვებს. შეისწავლა მათი ყოფა-ცხოვრება, შექმნა მოთხრობების ციკლი „ქვირფასი სახსოვარი“, რომელშიც მწერალმა შესანიშნავად ასახა ინგილოელთა დღევანდელი ყოფა. იგი წლების მანძილზე ქართულ ენასა და ლიტერატურასასწავლიდა ინგილოებს.

რამოდენიმეჯერ გამოიცა ცალკე წიგნად მოთხრობა „რომიკო“, რომელმაც გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე პრემია დაიმსახურა. ამ მოთხრობაში აღწერილია ერთი ინგილო ბავშვის ცხოვრება.

საინტერესოა ისტორიული ნარკვევები „მზიანი საინგილო“.

უფრო მოგვიანებით მწერალმა გამოაქვეყნა რომანი „განთიადის წინ“, რომელშიც მოცემულია რევოლუციური წარსული და ახალი სოციალისტური ყოფა.

ა. ჩხენკელის მოღვაწეობა მარტო მწერლობით არ შემოიფარგლებოდა. იგი, წლების მანძილზე, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სისტემატურად კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს საინგილოზე, აწყობდა საინგილოს ყოფა-ცხოვრების ამსახველ გამოფენებს.

აღარ არის ჩვენს შორის ალექსანდრა ჩხენკელი, შესანიშნავი ადამიანი, მწერალი, პედაგოგი, პატრიოტი, საზოგადო მოღვაწე ქალი. დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის საზოგადოებრიობამ იგი სამუდამო სავანემდე მიაცილა.



ქეთევან რუხაძე ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დიდი სამამულო ომის დამთავრების 30-ე წლისთავისათვის

# ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა

1943 წლის 6 ნოემბერს უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა, ლენინური პარტიის სახელოვანი შვილის, არმიის გენერალ ნ. თ. ვატუტინის სარდლობით, გაანთავისუფლეს უკრაინის დედაქალაქი კიევი, რომელიც 778 დღის განმავლობაში მტრის ხელში იყო.

კიევის განთავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები. მოძმე რესპუბლიკების ხალხების მხარდამხარ, დნეპრისა და კიევისათვის ბრძოლებში ათასობით ქართველი მონაწილეობდა, მათ შორის — ქალებიც.

სამ ძმასთან ერთად იცავდა სამშობლოს მედიცინის და ქეთევან რუხაძე. ვასასი და ალექსანდრე რუხაძეების ჭიშკართან ხშირად გამოჩნდებოდა ფოსტალიონი და მოჰქონდა მეომარი შვილების სამკუთხა ბარათები.

ქეთევანი ჯერ ზურგის ჰოსპიტალში მუშაობდა. კავკასიის კარიბჭესთან იმ დროს სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა.

1943 წლის შემოდგომაზე უკრაინის პირველ ფრონტზე გადაინაცვლა ქალიშვილმა.

გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა კიევისათვის. 6 ნოემბერს, დილის 4 საათზე საბჭოთა არმიამ გაანთავისუფლა კიევი. მტერი მაინც განაგრძობდა ქალაქის დაბომბვას. თავდასხმაში მოჰყვა ის ჰოსპიტალი, სადაც ქეთევანი მუშაობდა. იგი სხვებთან ერთად მიწაში დაიმარხა. მაშინ მიიღო მისმა ოჯახმა ქეთევანის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ცნობა. ეს მეორე შავი ქაღალდი იყო რუხაძეების ოჯახში, პირველმა გალაქტიონის დაღუპვის ამბავი მოიტანა. უსაზღვრო იყო მოხუცი მშობლების მწუხარება.

...ჰოსპიტლის ნანგრევებში მოყოლილთაგან ზოგი გადარჩა, მათ შორის — ქეთევანიც. გადარჩენილები კიევის ჰოსპიტალში მოათავსეს. დიდმა მზრუნველობამ ქუთაისელი ქალიშვილი სიკვდილისაგან იხსნა. იგი კვლავ მეომართა სიცოცხლის სადარაჯოზე დადგა.

1944 წლის მარტი... ძვალსა და რბილში ატანდა ყინვა. ქეთევანი იმ ღამით მიმღებში მორიგეობდა. შუაღამისას ჰოსპიტლის კარებს გამაყრუებელი სიგნალით მოადგა მანქანა. მოიყვანეს ორი დაჭრილი: ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი ნ. თ. ვატუტინი და მისი მძღოლი.

მთელი ჰოსპიტალი ფეხზე დადგა. სწრაფად მოედო კიევს ეს სამწუხარო ამბავი. ყველა ზომა იქნა მიღებული სარდლის გადასარჩენად. იგი ცალკე პალატაში მოათავსეს.

— სად არის ჩემი მძღოლი? — იკითხა მეორე დილით გონს მოსულმა სარდალმა. როცა უთხრეს, მძღოლი სხვა პალატაშიაო, მოითხოვა მასთან გადაეყვანათ.

ჰოსპიტლის მრავალრიცხოვან მედიცინის დებს შორის სარდალმა თავისთან, პალატაში სამუშაოდ ქართველი ქალიშვილი ქეთევან რუხაძე აირჩია.

იმ დღიდან ქეთევანი, სანიტარ მარუსიასთან ერთად, შეუცვლელად უვლიდა სახელოვან სარდალს და მის მძღოლს. სარდლის გადასარჩენად ზრუნავდა ყველა — უკრაინის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, გენერალური შტაბი, უმაღლეს მთავარსარდალს ი. ბ. სტალინს ყოველდღე მოახსენებდნენ ვატუტინის ჯანმრთელობის ამბავს.

ნ. თ. ვატუტინი მძიმედ იყო დაჭრილი წელისა და ბარძაყის არეში. მხოლოდ ფეხის მოკვეთა თუ იხსნიდა დაღუპვისაგან. მაგრამ ამის გაგონება სარდალს არ სურდა.

— სადაც მე ვიქნები, ჩემი ფეხიც იქ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს! — გადაჭრით განაცხადა მან.

კიევში საუკეთესო ექიმები ჩამოვიდნენ, ჩამოვიდა ცნობილი ქირურგი ნ. ნ. ბურდენკოც. გაეცნო თუ არა დაჭრილის მდგომარეობას, მან სტალინს აცნობა: აუცილებელია ფეხის მოკვეთაო. სასწრაფოდ მოვიდა პასუხი: მოკვეთეთ ფეხი, ოღონდ შეუნარჩუნეთ სიცოცხლე...

ქირურგებმა ი. ბ. სტალინის დეპეშა სარდალს შეუტანეს.

— დამტოვეთ მარტო! — თქვა დაჭრილმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ. ამ სიტყვებში თხოვნაც იყო და ბრძანებაც.

ყველანი გარეთ გამოვიდნენ. ქეთევანი და სანიტარი კი, რომლებმაც იცოდნენ, რომ ავადმყოფის სიტყვები მათ არ ეხებოდათ, პალატაში დარჩნენ.

ქეთევანი ახლოს დაუჯდა აღელვებულ ნიკოლოზ თევდორეს ძეს და დამშვიდება დაუწყო. გოლიათი გაირინდა, თვალები დახუჭა. ქეთევანი ხედავდა, როგორ უთრთოდა ტუჩები სარდალს. მის დაუძლურებულ თითებში კი სტალინის დეპეშა თრთოდა.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ნიკოლოზ თევდორეს-ძემ მძიმედ გაახილა ცრემლჩამდგარი თვალები.

— მაპატიეთ, იოსებ ბესარიონის-ძევ, მაპატიეთ, რომ ვერ ვასრულებ თქვენს განკარგულებას. სადაც მე ვიქნები, ჩემი ფეხიც იქ უნდა იყოს! — თქვა და ტუჩები მოიკვნიტა.

...ვატუტინს განგრენა დაეწყო. გაუარესდა მძღოლის მდგომარეობაც. მათ საკუთარი ტკივილებიც აწუხებდათ და ერთმანეთისაც. მათი ერთად გაჩერება აღარ შეიძლებოდა. მძღოლი კვლავ სხვა პალატაში გადაიყვანეს. იგი მალე გარდაიცვალა. მაგრამ ეს არ გაუმხელიათ სარდლისათვის.

ნიკოლოზ თევდორეს-ძე გრძნობდა, რომ მალე დაიხურებოდა მისი ცხოვრების წიგნი, მაგრამ პატრიოტი სარდალი მაინც ფრონტის ამბებზე ფიქრობდა, აღფრთოვანებული იყო ჩვენი ჯარების წარმატებებით.

ერთ დღეს სარდალმა ქეთევანს დაუბარა, თუ როგორი ყვავილები დაერგოთ მის საფლავზე.

— არა, ნიკოლოზ თევდორეს-ძევ! თქვენ არ მოკვდებით, თქვენ იცოცხლებთ! — უთხრა ქეთევანმა ღონემიხდილ სარდალს და თვალებზე მომდგარი ცრემლები რომ დაემალა, დერეფანში გავიდა, ფანჯარასთან მიდგა და აქვითინდა.

„ცუდი ამბავია“, — გაიფიქრა იქვე მდგომმა ჰოსპიტლის უფროსმა მელიტოვმა და სარდლისაკენ გაეშურა.

— ხედავ! — უთხრა სარდალმა მელიტოვს, — როგორ განიცდის ეს გოგონა ჩემს სიკვდილს. რა გულთბილი არიან ქართველები!

განგრენით გამოწვეული ტკივილები აუტანელი იყო. ქეთევანი ერთი წუთით არ ტოვებდა ავადმყოფს.

14 აპრილის საღამოა, ქეთევანი თავს დასტრიალებს სარდალს. მან ღვინო მოინატრა.

— ნიკოლოზ თევდორეს-ძევ, ახლა ბნელა, ინათებს თუ არა, წავალ და მოგიტანთ.

— ხვალ მე აღარ ვიქნები, — იწინასწარმეტყველა სარდალმა. მართლაც იგი ნაშუაღამევს გარდაიცვალა.

ზღვა ხალხი მოაწყდა ჰოსპიტალს. აცრემლდა მთელი კიევი. უწყვეტ ნაკადად მოდიოდა ხალხი და ეთხოვებოდა სახელოვან სარდალს.

დარბაზში შემოიტანეს გვირგვინი წარწერით: „სარდალ ნ. თ. ვატუტინს — ი. ბ. სტალინისა და გენერალური შტაბის ოფიცრებისაგან“.

კიევის პარკში შედგა სამგლოვიარო მიტინგი. უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ი. ბ. სტალინის ბრძანებით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში 16 საათზე მიცემული იქნა სალუტი.

ნ. თ. ვატუტინი სამუდამოდ მიიბარა კიევის მიწამ. ქუთაისელმა ქალიშვილმა, კიეველებთან ერთად, ყვავილები დარგო სარდლის საფლავზე.

...კვლავ ფრონტის მოწინავე ხაზი. ქ. რუხაძემ ბრძოლით გაიარა უკრაინა, პოლონეთი, და მტერზე გამარჯვება გერმანიაში იზეიმა.

ქეთევანთან ერთად ჰოსპიტალში ბევრი სხვა ერის შვილიც იყო, მათ შორის ოლია გლაზნიუკი, ზოია სულხანინა, ლ. არუთინიანი, ა. კუპრიანი, ნ. ტარუევსკაია და სხვები.

ქალაქ ლიბნიცაში ქეთევანის მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი აკიაფდა.

1946 წლის გაზაფხულზე ქეთევანი შვებულებით ჩამოვიდა ქუთაისში, ვერც მოასწრო ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების ნახვა, რომ ოლია გლაზნიუკისაგან დეპეშა მიიღო, სასწრაფოდ უკან დაბრუნდიო.

ქეთევანი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ადგილზე. შეიტყო, რომ მისი ჰოსპიტალი დაეშალათ, მედიცინის ყველა მუშაკი დემობილიზაციით გაეშვათ. მას კი პოლონეთში, ახლადშექმნილ სამედიცინო დაწესებულებაში გზავნიდნენ სამუშაოდ.

ქეთევანი დაღონდა.

— წავიდეთ ჩვენს დეპუტატთან — კ. კ. როკოსოვსკისთან, ვთხოვოთ, იქნებ რითიმე დაგვეხმაროს, — თქვა ოლია გლაზნიუკმა.

ქეთევანს თან გაჰყვნენ მისი ფრონტელი მეგობრები: ო. გლაზნიუკი, ნ. ტარუევსკაია, ა. კუპრიანი. ისინი დაუყოვნებლივ მიიღო მარშალმა. გლაზნიუკმა მისვლის მიზეზი აუხსნა, დახმარება სთხოვა, როგორც დეპუტატს, თან დასძინა: თუ რუხაძეს არ გაანთავისუფლებენ, მაშინ ჩვენც დაგვტოვონ მასთან ერთად სამუშაოდო.

— გაანთავისუფლებენ! — ღიმილით მოუჭრა მარშალმა და ტელეფონის ყურმილი აიღო. ქეთევანის საკითხი დადებითად გადაწყდა.

სამშობლოში დაბრუნებისას ქეთევანმა გზად კიევში გამოიარა, ვატუტინის საფლავი ინახულა, ცრემლებით მორწყო მისივე ხელით დარგული ყვავილები.

ქეთევანის ეზოშიც ხარობს იმ ჯიშის ყვავილი, რომელიც მან ვატუტინის საფლავზე დარგო.

მარგო კიკაბიძე

## უმისამართო ბარათები

# ეს დავიმსახურე?

წუხანდელი ღამე თეთრად გავათენე. თვალწინ დამიდგა ოჯახისათვის, ქმარ-შვილისათვის შეწირული წლები, წლები კი არა, — მთელი სიცოცხლე...

ვეძებდი, ნამდვილად ვეძებდი, რაში დამედანაშაულებინა ჩემი თავი, რომ იქნებ ეს სიმძიმე, გულზე რომ მაწევს, ოდნავ მაინც შემმსუბუქებოდა და ვერაფერი რომ ვერ ვიპოვე, გადავწყვიტე, თქვენ მოგმართოთ.

ოცი წელია, გათხოვილი ვარ. მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, ჩემს თანაკურსელს რომ გავყევი. ჩემმა ქმარმა ინსტიტუტი დაამთავრა, მე კი ერთი, მეორე, მესამე ბავშვი გამიჩნდა და მათ გაზრდასა და ქმრისა და ოჯახის მოვლას შევალიე ჩემი ახალგაზრდობა, ჩაცმა-დახურვა და კოხტაობა მიყვარდა, მაგრამ საკოხტაოდ სადღა მცალია? კინო არ არის ჩემთვის და თეატრი, წიგნს ვინღა დაეძებს, — გაზეთიც ვერ ამიღია ხელში.

ქორწინების პირველ თვეებში ქმარი მზად იყო, გვერდში ამომდგომოდა და ყველაფერი ეკეთებინა, მაგრამ მე წარმოუდგენლად მიმაჩნდა, რომ მამაკაცს საკუთარი ლოგინი გაესწორებინა, შარვალი გაეუთოვებინა, კარადიდან საჭმელი გამოეღო. ერთი სიტყვით, ოჯახის მთელი სიმძიმე საკუთარ მხრებზე წამოვიკიდე და, იქიდან მოყოლებული, მთელი დღე ვხეხავ, ვწმენდავ, ვრეცხავ, ვაუთოვებ... საჭმელსაც ყველას ცალ-ცალკე ვუმზადებ, რადგან ერთი ერთ კერძს არ ჭამს, მეორე — მეორეს (ღამეგათეულს ხომ არც ერთი არ მიეკარება). ოთხი მამაკაცი მყავს მოსავლელი — ქმარი და სამი ვაჟი და თუ ყველას საგანგებოდ გაწკიპინებული შარვალ-პერანგი არ გავუმზადე, ოდნავ ნაკეცი რომ ჰქონდეს პერანგს, იატაკზე მოისვრიან. გული იმაზეც მტკივა, რომ როგორც არ უნდა დავალაგო ბინა, მეორე წუთში ყველაფერი არეულდარეული და მიყრილ-მოყრილია.

გუშინ, მეტისმეტი რომ მოუვიდათ, ვუსაყვედურე და იცი, რა მითხრეს? — მეტი რა საქმე გაქვსო. ეს დავიმსახურე? მაგრამ, იქნებ, მეტსაც უნდა ველოდე, რადგან თანდათან ვატყობ, როგორ იცვლება ჩემი ქმარი, როგორ მიუწევს გული გარეთ, ოჯახს გარეთ. იქნებ, სხვაგანაც მიუხარია?

ერთი სიტყვით, ათასი დარდი მიტრიალებს გულში და ერთი კითხვა არ მაძლევს მოსვენებას — „რატომ“?

იქნებ, თქვენ მაინც მიპასუხებდით, ძვირფასო რედაქციავ!

ნ. შ.

თბილისი.



# ელენე მაჩაბელი

**(დაბადების 80 წლისთავის გამო)**

დიდ მოღვაწეთა შთამომავალი, ელენე ივანეს ასული მაჩაბელი, ერთი იმ პიროვნებათაგანია, რომლის სახელი ბუნებრივად დაუკავშირდა ქართველ ლიტერატორთა მღელვარე საზოგადოებრივ ცხოვრებას.

სახელოვანი მოღვაწისა და მწერლის — ივანე მაჩაბლის ქალიშვილს, გუშინდელ დღესავით ახსოვს მამის ოჯახში მოფუსფუსე, ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობით გატაცებული დიდი ადამიანები: აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია, გიგო დიასამიძე, დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები, მხატვარი გიგო გაბაშვილი. ქართველი ხალხის მეგობრები: ოლივერ უორდროპი, არტურ ლაისტი, უფრო მოგვიანებით — იოსებ გრიშაშვილი და სხვები.

დიდი ილია ელენეს უფრო მოგვიანებით გაუცვნია სარაჯიშვილების სახლში. აქ, ქართველ მოღვაწეებთან ერთად, „საკვირაო სადილებს“ ესწრებოდა ხოლმე სარაჯიშვილების დიდი მეგობარი, ელენეს დედა ანასტასია (ტასო) მაჩაბელი.

ელენეს ხშირად უსაუბრია ამ კეთილშობილ ადამიანებთან და მიწერ-მოწერაც ჰქონია, ამიტომ საკვირველი როდია, რომ მას პატარა ფარატინა ქაღალდისთვისაც ფასი დაუდვია და თავისი დროის ამსახველი საინტერესო ფურცლები სათუთად შეუნახავს პირად არქივში.

და ეს როდია პატარა საქმე!

„მაგონდება შენი სახლი, მუდამ ტკბილი, მყუდრო სამყოფელი, მუდმივ სავსე თბილი, სასიამოვნო სიმპატიური ხალხით. დედაშენის სალონში იკრიბებოდნენ მაღალი ინტელექტის ადამიანები, მთელი საუკეთესო ვარსკვლავთკრებული... მახსოვს ჩამოდიოდნენ პეტერბურგიდან, საზღვარგარეთიდან და ყოველი მათგანი თავს ვალდებულად სთვლიდა ვიზიტი გაეკეთებინა შენი მშობლებისათვის. აღტაცებული და მოხარული დედის საქმეებით და მასპინძლობით, ისინი სწერდნენ მოგონებებს თბილისზე, და რაც საგულისხმოა, ტასოზე, როგორც ულამაზეს ქართველ ქალზე და ჩვენ ვამაყობდით ამით“. წერდა ელენეს მათი ოჯახის ნათესავი ეკატერინე თარხნიშვილი.

ასეთ ოჯახში გაიზარდა ელენე მაჩაბელი, ერთი იმ ბედნიერთაგანი, რომელსაც ბავშვობიდანვე ანებივრებდა აკაკი წერეთელი თავისი ლექსებით.

ვინ იცის რამდენი სითბო და ალერსი ახსოვს მხცოვანი პოეტის მუხლებზე ჩამომჯდარ პატარა ელას და რამდენი კარგი ზღაპარი და ლექსი. ბავშვების მოყვარული მგოსანი მას სამშობლოს სიყვარულს და თავდადებას უნერგავდა:

„გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო,
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო.
ელა, მამულის გულისთვის ცრემლი
დაღვარეო“.

თითქოს ყველაფერი ჰქონდა ელენე მაჩაბელს, რომ ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ მამის უგზოუკვლოდ დაკარგვამ, ახალგაზრდა დედის დაქვრივებამ კაეშანი შეიტანა ივ. მაჩაბლის ობლების ცხოვრებაში.

ახლაც მწარე ვულისტკივილით იგონებს ელენე თავისი ოჯახის ტრაგედიას: „კარგად მახსოვს მამაჩემის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემდეგ ვალებში ჩაფლული ჩვენი ოჯახი. სახლის გაყიდვით, ნივთების დაგირავებით და ვალების გასტუმრებით ხომ სული გვქონდა გამწარებული.

დედას ერთი წესიერი ფეხსაცმელი არ ღირსებია საზოგადოებაში გამოსასვლელად. ჩვენს ტანისამოსსაც კი თვითონ კერავდა, რომ ოჯახური ხარჯები შეემსუბუქებინა.

მახსოვს, ერთხელ, სკოლიდან მოსულმა ჩემმა ძმამ ნიკუშამ დედაჩემის შეკერილი ხალათი კუთხეში მიაგდო — ქალისას გავსო.

ბევრი გაჭირვების მოწმე ვყოფილვარ, მაგრამ დედის თვალზე ცრემლი არასდროს შემიმჩნევია.

მიყვარდა დედაჩემის ამტანი და მომთმენი ხასიათი, ისე მეჩვენებოდა, რომ სხვას არავის ჰყავდა ასეთი დედა“.

მამის კვალზე ზრდიდა შვილებს ივ. მაჩაბლის ქვრივი ტასო ბაგრატიონი.

ახლო იდგნენ შვილები დედასთან. სწავლობდნენ, შრომობდნენ, ეხმარებოდნენ საოჯახო საქმეში.

ელენე წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლობდა, უყვარდა კითხვა. აბა, წიგნები რა მოსანატრი იყო ივ. მაჩაბლის ოჯახში.

დედის სიყვარულმა დიდხანს ვერ გადააწყვეტინა ელენეს გათხოვება. ექვსი წლის გამნავლობაში, ახალგაზრდა იურისტმა ივანე ჩერქეზიშვილმა სამჯერ სთხოვა ხელი.

ხანმოკლე აღმოჩნდა ელენეს ბედნიერება. დედასავით ახალგაზრდა დაქვრივდა. დარჩა ხელზე ორი პატარა ბავშვი.

მაგრამ დედისაგან გამოყოლილმა მტკიცე ნებისყოფამ და შემართებამ, ასწავლა მას: რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსაო.

იგი დღედაღამ მუშაობდა, ობლებს არაფერს აკლებდა. მაინც გართულდა ახალგაზრდა ქალის ცხოვრება. უმცროსი ვაჟის ფილტვების დაჩრდილვას ელენესთან ერთად განიცდიდნენ მისი ახლობლები და მეგობრები.

21 წლის ახალგაზრდის საფლავი ყანობილის მთაზე გაითხარა. დედას გაუჭირდა შვილის საფლავის მიტოვება და საცხოვრებლად ყანობილში დარჩა.

ამიტომ ასე იშვიათად ვხედავთ ხოლმე ივ. მაჩაბლის ასულს თბილისის ქუჩებში.

1962 წელს, ელენე მაჩაბელს, აბასთუმნის ობსერვატორიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თავდადებული შრომისათვის, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება მიენიჭა.

ელენე მაჩაბელი არასდროს არ მოწყვეტია საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას, ამასთან ერთად, იგი მნიშვნელოვანი ლიტერატურული დოკუმენტებით ავსებს მშობლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის არქივს, ნაყოფიერად მოღვაწეობს პრესაში.

ქართველი მკითხველი სიამოვნებით კითხულობს მის საინტერესო წერილებს და მოგონებებს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში: „აკ. წერეთლის ოჯახი", „მოგონებები აკაკიზე", „ეკ. სარაჯიშვილი", „სოფიო ამირაჯიბი", „ივ. მაჩაბელი და მიხაი ზიჩი" და სხვა მრავალი.

ელენე მოწმე იყო თავისი მამის ივ. მაჩაბლის და მიხაი ზიჩის უახლოესი მეგობრობისა. მას კარგად ახსოვს მამის ინიციატივა, როცა ქართველმა საზოგადოებამ შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების — „ვეფხისტყაოსნის" დასასურათებლად მიხაი ზიჩი მოიწვია.

ელენეს არქივში ახლაც დაცულია ზიჩის წერილები და დეპეშები.

ელენე მაჩაბელს საინტერესო მიმოწერა აქვს მიხაი ზიჩის შვილიშვილთან — მარია ალექსანდრა რონაისთან.

ამ წერილებში გამოსჭვივის კეთილშობილური სურვილები — უფრო დამეგობრდნენ, ნახონ და გაიცნონ ერთმანეთის სამშობლო.

„მეც ძალიან მინდა თქვენი გაცნობა და ვაი, რომ ასე შორსა ვართ ერთმანეთისგან. მეც ვავადმყოფობ, დავდივარ ჯოხით, მაგრამ სულიერად არ ვეცემი... გიგზავნით გაზეთს, რომელშიც ჩვენი მეგობრობის შესახებ წერია: „დიდებულ წინაპართა შთამომავალნი". გიგზავნით გაზეთს «Заря Востока»-ს, სადაც თქვენი პაპის — მიხაი ზიჩის შესახებ წერენ".

ვინც ახლოს იცნობს ელენე მაჩაბლის ფაქიზ ბუნებას, ან რაიმე საქმე ჰქონია მასთან, იგი ადვილად დარწმუნდება მის სულიერ სიმაღლეში, ენერგიულობაში.

ჩვენ ახლაც გვახსოვს 1966 წელს ელენე მაჩაბლის დარბაისლური სიტყვა თავისი დედის ანასტასია (ტასო) მაჩაბლის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში რომ გაიმართა.

გვახსოვს, აგრეთვე, ტასო მაჩაბლის მშობლიურ სოფელ ფცაში შეხვედრა, სადაც ელენე მოგონებებით გამოვიდა ახალგაზრდობის წინაშე.

დაე, ყოველთვის ასეთი ხალისიანი, დაუბერებელი ყოფილიყოს დიდ წინაპართა შთამომავალი და ღირსეული წარმომადგენელი ელენე მაჩაბელი.

**ნინო ჩიხლაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

12.404

## შრომის ვეტერანი

# სამი თაობის ნახელავი



მარჯვნიდან — ბებია, შვილიშვილი და შვილი.

თბილისის ხილბოსტანვაჭრობის საკონსერვო ქარხნის ვეტერანი მუშა ნადეჟდა ლორთქიფანიძე-გულაზოვა, აქ ქარხნის დაარსებიდან მუშაობს, იგი 70 წელსაა მიღწეული და შეუძლია პენსიით ისარგებლოს, მაგრამ თავს მხნედ გრძნობს და ქარხანაში შრომის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია.

წვენების საამქროში, სადაც ნადეჟდა 35 წელია უმწიკვლოდ შრომობს, ისეთი ოპერაციები წარმოებს, როგორიცაა ნედლეულის რეცხვა, დახარისხება, დაქუცმაცება, წვენის მიღება. საამქროში ამზადებენ ვაშლის, ალუბლის, მარწყვის, შინდის, მაყვლის, ქლიავის, ატმის და ასკილის წვენებს.

პროდუქციის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული წვენის საწყის მაჩვენებლებზე. ამიტომაა, რომ ამ საამქროს სული და გული ნადეჟდა ლორთქიფანიძე-გულაზოვა გულმოდგინედ, ფაქიზად აწარმოებს თითოეულ ტექნოლოგიურ პროცესს. საჭიროა ორთქლის წნევის, ტემპერატურის ნორმალური დაცვა, რათა წვენში მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ყველა ის სასარგებლო ნივთიერება, რითაც მდიდარია საქართველოს ხილი. საქმის ღრმა ცოდნა, თითოეული მანქანა-დანადგარის მუშაობაზე თვალყურის დევნება ნადეჟდას პროფესიული ოსტატობის დამახასიათებელი თვისებებია. იგი ერთდროულად რამდენიმე მანქანას ემსახურება. ამიტომაცაა, რომ საამქრო, სადაც ნადეჟდა მუშაობს, მის სახელს ატარებს.

სეზონის პერიოდში, როცა ნედლეული მოზღვავებულია, წვენების საამქრო განუწყვეტლივ მუშაობს. 9-10 საათს არ სცილდება საამქროს ნადეჟდა. იგი მუდამ მოწინავეთა შორისაა, საწარმოს გეგმის შესრულებაში აქტიურად მონაწილეობს, რამდენადაც ლმობიერია მათ მიმართ, ვინც თავდადებით შრომობს, ან ვინც ეს ესაა ეზიარა შრომას და ჯერ ყველაფერი „არ გამოსდის", იმდენად დაუნდობელია და მომთხოვნია ზარმაცების მიმართ, ვინც არ შრომობს მთელი ძალღონის დაძაბვით, არ უფრთხილდება მანქანა-დანადგარებს...

სამუშაოს დამთავრების შემდეგაც ხშირად ნახავთ ნადეჟდას საამქროში მოფუსფუსეს. იგი თავს დასტრიალებს თითოეულ დანადგარს, წესრიგში მოჰყავს ხვალინდელი დღისათვის.

მარტო საკუთარ თავზე როდი ფიქრობს ვეტერანი მუშა, იგი ყველას უწვდის დახმარების ხელს. ამიტომაა, რომ ყველას უხარია მისი დანახვა, მისი შრომითი წარმატება, ამიტომაა, რომ ასე ტკბილად ეძახიან ახალგაზრდები „ბებია ნადეჟდას".

არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე შრომობდე, იღწვოდე საწარმოში, სადაც უყვარხარ, გაფასებენ და გბაძავენ. ეს საყოველთაო სიყვარული ნადეჟდას შრომისმოყვარეობამ და ადამიანურმა თვისებებმა მოუტანეს, რითაც ასე უხვადაა იგი შემკობილი.

აი რას ამბობს მის შესახებ ახალგაზრდა ცვლის ოსტატი თ. ჭეიშვილი: „სწორედ ქალბატონ ნადეჟდას ყოველმხრივმა დახმარებამ განაპირობა კოლექტივთან ჩემი დაახლოება და წარმატება. პირველ ხანებში მეჩვენებოდა, ვერ გავუძლებ, მომბეზრდება, მომწყინდება და წავალ-მეთქი, მაგრამ იმ მეგობრულმა ატმოსფერომ, იმ ნამდვილმა დედობრივმა მზრუნველობამ, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი ქალბატონ ნადეჟდასაგან, რწმენა, ენერგია შემმატა ახალბედას".

ამ სიტყვებს ადვილად გაიგებს ყველა, ვისაც თითონ განუცდია მუშაობაში პირველი სიძნელე.

შრომაში მოწინავე ქალს ოჯახიც სანიმუშო აქვს. იგი სამი შვილის დედაა. უფროსი ქალიშვილი ზინაიდა დედის კვალს მიჰყვა, მომიჯნავე საამქროში მხარშავის რთულ პროფესიას ასრულებს, შვილიშვილი ელგუჯა კი წვენების გასტერილებაზე მუშაობს. ქარხანა და აქ მუშაობა ნადეჟდამ შვილსაც შეაყვარა და შვილიშვილსაც. თავისი პროფესიის სიყვარული მათაც გადასცა.

**ი. სვანიძე,**
საკონსერვო ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი.

# გარდამავალი ასაკი

ჩვენი დღევანდელი პედაგოგიური საბჭოს სხდომის თემა გარდამავალი, ანუ, როგორც ხალხი უწოდებს, გარდატეხის ასაკია. ამ თემის საჯაროდ გამოტანა განაპირობა რედაქციაში შემოსულმა მშობელთა წერილებმა, მათი ავტორები სერიოზულად არიან შეშფოთებული აქამდე „ჭკვიანი“ შვილის უეცარი გარდასახვით და პასუხს ჩვენი საბჭოსაგან მოელიან.

## პედაგოგიური საბჭოს სხდომა № 5



პროფესორი შალვა ჩხარტიშვილი — ფსიქოლოგი:

— თემა მეტად დიდი, მრავალმხრივ შესწავლილი და კვლავაც შესასწავლია.

გარდამავალი ასაკი, ძირითადად, თორმეტი წლიდან იწყება და 15-16 წლის ასაკში მთავრდება. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ ასაკის დადგომა ყველგან, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, ერთიდაიმავე წლოვანებისას როდი ეწყებათ მოზარდებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კლიმატურ პირობებს.

ამ ბოლო ხანებში შეიმჩნევა გარდამავალი ასაკის საერთოდ ერთი წლით დაჩქარების ტენდენცია (აქსელერაცია), რაც გამოწვეულია ჩვენი ტექნიკის საუკუნის ტემპებითა და თავისებურებებით.

რა ხდება გარდამავალ ასაკში? — ძირითადად ის, რომ იწყება ბიოლოგიური მომწიფება, მხოლოდ ბიოლოგიური და არა ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალური. აი რატომაა ჩვენი კანონმდებლობით ამ ასაკში ქორწინება აკრძალული.

11-12 წლის ბავშვის ორგანიზმში თავს იჩენს ახალი ფიზიოლოგიური პროცესები: ფუნქციონირებას იწყებს აქამდე უმოქმედოდ მყოფი სქესობრივი ჯირკვლები. ალბათ ყველას შენიშნული აქვს, რომ ბავშვები ამ პროცესებს სხვადასხვაგვარად განიცდიან, ეს დამოკიდებულია სქესობრივი ჯირკვლების მოქმედებაში შესვლის ტემპზე, თუ პროცესი ნელი-ნელ, თანდათანობით, თანაბრად მიმდინარეობს, შედეგიც ზომიერი და დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ხდება, პირიქით, ნახტომებით განვითარება, ბავშვები გარდატეხის ასაკში მეტ-ნაკლებად იცვლებიან; რაც ვლინდება როგორც გარეგნობაში, ისე ხასიათსა და ქცევაში: ზოგი ბავშვი იწყებს სწრაფ, ასიმეტრიულ ზრდას, ხალხი ამას დაუშნოების პერიოდს უწოდებს. სქესობრივ მომწიფებაზე ორგანიზმს დიდი ენერგია ეხარჯება, სწორედ ამის მიზეზია, რომ ამ ასაკში ყმაწვილები უმცროს ბავშვებზე უღონონი და მოთენთილნი არიან.

ძირითადი ცვლილებები მაინც ემოციური მიმართულებით ხდება. გარდამავალ ასაკში მყოფ ბავშვს პატარა რამე სწყინს და ახარებს (იმის მიხედვით, რა ტემპით ხდება გარდატეხის პროცესი), ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდეც კი მიდის და შესაძლოა გამოუსწორებელი რამ ჩაიდინოს. უჩნდება პირველი წმინდა, პლატონური სიყვარული. მინდა გავიმეორო პლატონური, რადგან ბიოლოგიური მომწიფების მიუხედავად, ხორციელი ლტოლვა მათთვის უცხოა, და ეს უკანასკნელი მხოლოდ მექანიკური გაღიზიანების შედეგად შეიძლება გაჩნდეს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ბავშვში თავს იჩენს სოციალური მოთხოვნილებებიც, ცდილობს მიბაძოს უფროსებს (სამწუხაროდ, ეს მიბაძვა უარყოფითისადმი უფროა მიმართული: თამბაქოს წევა, ალკოჰოლის მიღება და ა. შ.), რაც ზოგჯერ სავალალოდ მთავრდება.

აი, რამდენ სირთულესთან, შინაგან მრავალფეროვნებასა და ნაირწახნაგოვნებასთან გვაქვს საქმე ბავშვის განვითარების ამ საპასუხისმგებლო პერიოდში.



ქეთევან ცხვედიანი — თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის დირექტორი:

გარდამავალ ასაკში შესული მოზარდის შინაგანი სულიერი სამყარო, მისი ფიზიკური განვითარების პროცესები მეტად რთული და თავისებურია. მასწავლებლისათვის, აღმზრდელისათვის, მშობლისათვის აუცილებელია იცოდეს ამ ასაკის ყველა თავისებურება, კარგად ესმოდეს რა საპასუხისმგებლო მომენტთან აქვს საქმე. ამ ასაკში ბავშვი მოუსვენარია, სწრაფად ეცვლება გუნება-განწყობილება, ყველას და ყველაფერს კრიტიკულად უდგება, ცდილობს მიბაძოს უფროსებს (აი როდის ეჩვევიან თამბაქოს წევას, ღრმად სწამთ, რომ ეს მათ სხვის თვალში აამაღლებს).

პედაგოგს ნიადაგ უნდა ახსოვდეს ყოველივე ეს და ტაქტიანად, ფრთხილად ამყარებდეს მათთან ნამდვილ, სწორ კონტაქტს.

მინდა ხაზი გავუსვა მამების როლს. არავისი ისე არ სჯერა, არავინ ისე არ მოსწონს და არავის არ ბაძავს ამ ასაკში ბიჭუნა, როგორც მამას. ჩვენი მამები კი, რა დასამალია, მეტ შემთხვევაში, ცდილობენ განზე იდგნენ, უხეშად რომ ვთქვათ, თავის შეწუხებას გაურბიან. მინდა ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ბევრი მშობელი (განსაკუთრებით მამები) დაინტერესდეს ჩვენი დღევანდელი პედაგოგიური საბჭოს თემით, მოძებნოს სათანადო ლიტერატურა (ამისათვის ბიბლიოთეკას უნდა მიაკითხოს), რჩევა ჰკითხოს ექიმპედიატრს, ფსიქოლოგს, მცოდნე პედაგოგს, თორემ ასეც ხომ არის, რომ მშობლის უტაქტობისა და უხეშობის შედეგად გამოუსწორებელი, სამუდამოდ სანანებელი რამ ხდება.

კარგი იქნებოდა, ქართველ მკითხველსაც ჰქონდეს ისეთი სპეციალური ჟურნალი, როგორიცაა „სემია ი შკოლა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ქ ს ე ნ ი ა  კ ო რ ძ ა ხ ი ა — გალის მე-I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:**

დიდმა ქართველმა პროზაიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ შეკითხვაზე, რას ურჩევდით ჩვენს მასწავლებლებსო, უპასუხა „მოთმინებას. მათ კარგ ხასიათზე უნდა დააყენონ უხასიათო ბავშვი. პედაგოგობა უმძიმესი ხელოვნებაა. ერთ დროს მეც ვიგემე მისი სიტკბო და სიმწარე. რაც უფრო მშვიდად, დინჯად და შეგნებულად მოექცევა პედაგოგი ბავშვს, მით უფრო კარგ ზემოქმედებას მოახდენს მასზე. მასწავლებელი ხშირად გმობს და ალიაქოთით ხვდება ისეთ რამეს, რომელიც დუმილითა და გვერდის ავლით უფრო გამოსწორდება, ვიდრე ყვირილითა და ყურის აწევით“.

უკვე თქვეს და მსურს კვლავ გავიმეორო, რომ ამ ასაკში ხშირია ბავშვის წონასწორობიდან გამოსვლის, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის შემთხვევა, ამიტომ მინდა პედაგოგებს მოვაგონო, რომ ამ დროს სწორი, მეცნიერული სიტყვა მათ ეკუთვნით.

ვინ არ იცის, რომ მოზარდები გარდამავალ პერიოდში ხშირად გულს იცრუებენ სწავლაზე, არად აგდებენ მშობლებისა და პედაგოგების განგაშს. ვფიქრობ, ამ დროს საჭიროა კერძო, ინდივიდუალური მიდგომა თითოეულთან. ის რაც ერთს არგებს, მეორესათვის შესაძლოა სრულიად მიუღებელი გამოდგეს. საჭირო არ არის გაზეპირებული, გაცვეთილი შეძახილები: — როგორ არა გრცხვენია! შარშან რა კარგად სწავლობდი! წელს რა გემართება?! — ამის პასუხი პედაგოგმა თავად უნდა იცოდეს, უნდა ცდილობდეს შემოქმედებითად გადაჭრას ეს მართლაცდა სერიოზული პრობლემა.





**კ ლ ა რ ა  ბ ა ს ი ლ ა ი ა — გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:**

სავსებით ვეთანხმები გამოსულ კოლეგებს, მე-5, მე-7 კლასის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სურათის მკვეთრად გაუარესების საკითხში, რაც, რა თქმა უნდა, კვლავ გარდამავალი ასაკის თავისებურებით აიხსნება. მინდა, აგრეთვე, განსაკუთრებით გავუსვა ხაზი მშობელთა როლს, მათი პედაგოგიზაციის აუცილებლობას. ჩვენ გვქონდა ასეთი შემთხვევა: მე-6-კლასელ ბიჭუნას მშობელმა უხეში, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და, პროტესტის ნიშნად, ბავშვი ოჯახიდან გაიქცა. ვფიქრობ, ანალოგიური შემთხვევები სხვაგანაც არის, და ამის მიზეზი მუდამ უფროსების უტაქტობა, ბავშვის სულიერი სამყაროს ცუდად ცოდნა. კიდევ უარეს, სავალალო შედეგს ვაწყდებით მაშინ, როცა ბავშვის ოჯახში არეულობაა, დედ-მამა ერთმანეთში ვერ მორიგებულან. არაფერი ისეთ ტრავმას არ აყენებს ბავშვის ფაქიზ სულს, როგორც დედ-მამის — მისთვის ქვეყნად ყველაზე საყვარელი ადამიანების — ცუდი ურთიერთობა. ეს ამბავიც ხშირად ხდება ბავშვის გზიდან აცდენის მიზეზი.

და, აი როდის სჭირდება კლასის ხელმძღვანელს გამჭრიახობის გამოჩენა, მის თვალს არ უნდა გამორჩეს ასეთი რამ. ამ დროს მას მარტო ბავშვის კი არა, ასე ვთქვათ, მშობლების აღზრდაც ევალება. სხვა საქმეა გაართმევს თუ არა თავს, მაგრამ ჩარევა, ცდა ამისა, მაინც აუცილებელია.

**ლ ა მ ა რ ა  გ ო გ ო ლ ა ძ ე — თბილისის 24-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში:**

აქ უკვე აღინიშნა, რომ გარდამავალ ასაკში ბავშვს უჩნდება სოციალური მოთხოვნილებები; იგი ნაადრევად წარმოიდგენს თავს ზრდადამთავრებულ პიროვნებად, რისთვისაც ცდილობს მიბაძოს უფროსებს, მიბაძოს, სამწუხაროდ, უარყოფით მხარეებში. აქედან ჩნდება ლოღიკური დასკვნა: მოზარდის ირგვლივ აუცილებელია სამაგალითო, დადებითი თვისებებით აღჭურვილი ადამიანები იყვნენ. და მერე, ვინ არიან მათ ირგვლივმყოფები, მათი მიბაძვის ობიექტები? — უპირველეს ყოვლისა, პედაგოგები. აი რატომ ვითხოვთ მასწავლებლებისაგან, რომ ისინი სამაგალითო პიროვნებები იყვნენ.

ხშირად გვსმენია პედაგოგებისაგან საყვედური პრესის, კინოსა და სხვათა მიმართ: რა საჭიროა მასწავლებლის ნაკლის საჯაროდ გამოტანა, ეს ხომ ლახავს მის ავტორიტეტს მოსწავლეთა თვალში. ესეც ჩვენი პედაგოგიური მარცხი! განა არსებობს კვამლი უცეცხლოდ?! ჩემი აზრით, ამ მიმართებით ბევრი უნდა იფიქრონ იმ დაწესებულებებმა, რომელთა სამჭედლოშიც უნდა გამოიწრთოს მომავალი პედაგოგის მორალური სახე, მისი მოქალაქეობრივი მრწამსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნათელა ფაილოძე — გაზეთ „სახალხო განათლების“ პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე:**

აქ საკმაოდ ითქვა გარდამავალი ასაკის თავისებურებებზე, პედაგოგის ალღოსა და ტაქტზე, მშობლისა და, საერთოდ, ოჯახის როლზე მოზარდის სულიერი თუ ფიზიკური ჩამოყალიბების საქმეში. ბევრი ითქვა და ბევრიც დარჩა სათქმელი. საკითხი როგორც დასაწყისში აღინიშნა, დიდზე დიდი, მრავალმხრივია და გამუდმებულ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

პირადად მე ყურადღება მინდა გავამახვილო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების აღმზრდელობით, ქმედით როლზე.

მოდით, ვიყოთ გულახდილნი: ხომ ვიცით ისეთი სკოლებიც, სადაც პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს!? ჩემი აზრით არავის და არაფერს ისეთი გავლენის მოხდენა არ შეუძლია, როგორც ამ ორგანიზაციების მესვეურთ, რომელთა ხელთაა მოქმედების უზარმაზარი არსენალი.

გარდამავალ ასაკში ბავშვი სავსეა ძიებით, ქმედობის სურვილებით, პედაგოგს, მშობელს, ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ხელთ უნდა ეპყრათ სხვადასხვა ზომის და ფორმის გასაღებები, შესწევდეთ უნარი ეს გასაღებები ზუსტად იქ მოარგონ, სადაც ჯერ არს.



**კუჭაიძე — რუსთავის მე-15 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:**

ყველაზე რთული და პასუხსაგები უბანი პიონერხელმძღვანელის საქმიანობაში უფროსი ასაკის პიონერებთან მუშაობაა. თუ მესამე, მეოთხე კლასში ბავშვები დამჯერენი, დისციპლინირებული არიან და მაღალი აკადემიური მოსწრებაც აქვთ, მე-5, მე-6, მე-7 კლასებში, თითქოს ვიღაცამ გამოცვალაო. შეუძლებელი ხდება მათი ცნობა. უჩნდებათ დამოუკიდებელი მოქმედების სურვილები, რომელთა შესრულების ჩვევებიც მათ არ გააჩნიათ, თავს იჩენს პირველი წმინდა სიყვარული, რომლის რაიმე გამოვლინების დროს (ვთქვათ, როგორიცაა უცოდველი ბარათის მიწერა), ყურადღების გამახვილება და მით უმეტეს უხეში ჩარევა ან დასჯა, მე ვიტყოდი, უდიდესი შეცდომაა. აი როდის სჭირდება პიონერხელმძღვანელს მთელი თავისი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება. პიონერულ ორგანიზაციას უამრავი ფორმა გააჩნია იმისათვის, რომ ბავშვის ყურადღება სხვა ტალღაზე გადართოს: უნდა დააინტერესოს სხვადასხვა მახვილგონიერი და მიმზიდველი ღონისძიებებით. არცერთი ბავშვი, განსაკუთრებით ის მერვეკლასელები რომლებიც ჯერ კიდევ პიონერთა რიგებში არიან, არ უნდა დავტოვოთ დავალების გარეშე. დავალება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ბავშვი ნამდვილად უნდა დაინტერესდეს დავალებით. მას შეიძლება მივანდოთ სხვადასხვა ვიქტორინების მოწყობის თაოსნობა, კლუბის ხელმძღვანელობა, ექსკურსია-ლაშქრობის ორგანიზაცია, ფილატელისტურ და ნუმიზმანტურ სექციებში მონაწილეობა და ა. შ.

ჩვენი მიზანი მხოლოდ ერთია: აღვზარდოთ მორალურად წმინდა, გონებრივად განვითარებული, ფიზიკურად ძლიერი თაობა.

# რატომ გახდა ბავშვი სისხლნაკლები?

გარკვეული წარმოდგენა რომ გვქონდეს ბავშვის სისხნაკლებობაზე, მოკლედ განვიხილოთ სისხლის თავისებურებანი.

სისხლი თხევადი ქსოვილია, იგი შედგება პლაზმისა და ფორმიანი ელემენტებისაგან. პლაზმა თხევადია და შეადგენს სისხლის ნახევარზე მეტს — 55 პროცენტს. პლაზმა თავის მხრივ შეიცავს 90-92 პროცენტ წყალს, დანარჩენი ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები და მარილებია.

სისხლის ფორმიანი ელემენტებია: 1. წითელი ბურთულები — ერითროციტები, რომელთა რაოდენობა 1 მმ$^3$-ში 4-5 მილიონია, 2. თეთრი ბურთულები — ლეიკოციტები, მათი რაოდენობა იმავე მოცულობაში 5-6 ათასია, 3. სისხლის ფირფიტები — თრომბოციტები (200.000).

სისხლი ემსახურება ორგანიზმის ფრიად მნიშვნელოვან ფუნქციებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. აირთა ცვლას, ე. ი. ჟანგბადის გადატანას ფილტვებიდან ქსოვილებში და ნახშირორჟანგისა — ქსოვილებიდან ფილტვებში. ამას ძირითადად ახორციელებენ ერითროციტები, მათში არსებული რკინის შემცველი ნივთიერების — ჰემოგლობინის მეშვეობით;

2. ნივთიერებათა ცვლას, ე. ი. კუჭ-ნაწლავიდან შეწოვილი საკვების მიწოდებას ქსოვილებში და ქსოვილებიდან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების მოშორებას. ამას ძირითადად პლაზმა განაპირობებს;

3. ორგანიზმის დაცვას მასში შეჭრილი მავნე მიკროორგანიზმებისაგან ლეიკოციტები ემსახურება;

4. სხეულის სითბოს რეგულაციას, რის გამო ჯანმრთელი ორგანიზმის ტემპერატურა მყარია, გარემოს ტემპერატურის ცვალებადობის მიუხედავად.

თრომბოციტები განაპირობებენ სისხლის შედედების უნარს.

ადამიანს 4-5 ლიტრი სისხლი აქვს. სისხლის მთლიან რაოდენობაზე, აგრეთვე მისი ცალკეული ელემენტების შემცველობაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა.

დაბადებისას ბავშვს აქვს ერითროციტების საკმაოდ დიდი მარაგი. 5-7 მილიონი 1 მმ3. ასევე დიდია ჰემოგლობინის რაოდენობაც, იგი შეადგენს 100-140 ერთეულს. შემდეგში სისხლის ეს მაჩვენებლები თანდათანობით მცირდება და 6 თვისათვის ჰემოგლობინის რაოდენობა 65-70 ერთეულამდე დადის, ხოლო ერითროციტებისა — 4-5 მილიონამდე. ერთი წლის ასაკიდან ორ წლამდე კვლავ იწყება ჰემოგლობინის ზომიერი მომატება 70-78 ერთეულამდე და შემდეგ წლებში თითქმის ერთ დონეზე დგას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერითროციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა მცირდება, ორგანიზმი განიცდის ჟანგბადის შიმშილს, ხოლო ამის გამო ორგანიზმში დაგროვილი ნახშირორჟანგი უარყოფით მოქმედებას ახდენს ორგანიზმზე. აი ამიტომ არის, რომ სისხლნაკლები ბავშვი ყოველთვის ფერმკრთალია, უხალისო, ცუდი მადა აქვს. უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვი, ამ შემთხვევაში, უჩივის თავის ტკივილს, საერთო სისუსტეს, ყურებში შუილს, შედარებით მალე იღლება, ცუდად ძინავს... როდესაც ბავშვის ჰემოგლობინი ეცემა 62-60 ერთეულამდე, ხოლო ერითროციტების რაოდენობა 3,5 მილიონამდე, შეიძლება ითქვას, მას სისხლნაკლებობა ეწყება.

სისხლნაკლებობის ანუ ანემიის მიზეზი მრავალია. ხშირად ბავშვი იბადება უკვე საკმაოდ შეცვლილი სისხლით, ასეთ სისხლნაკლულობას ენდოგენური ანემიები ეწოდება (შინაგანი წარმოშობის სისხლნაკლებობა). თანდაყოლილი ფორმების ანემიებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ჰემოლიზური დაავადებაც, რომელიც წარმოიშვება დედისა და ბავშვის სისხლის შეუთავსებლობის გამო. საბედნიეროდ ასეთი თანდაყოლილი სისხლის დაავადებანი შედარებით ნაკლებად გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში ბავშვებს სისხლნაკლებობა უვითარდებათ ზოგიერთი გარეშე ფაქტორების მავნე ზემოქმედების შედეგად, მაგალითად: ტრავმის შედეგად; სისხლის დაკარგვა, არაწესიერი კვება, არადამაკმაყოფილებელი სანიტარული და საყოფაცხოვრებო პირობები, ხშირი ავადმყოფობა და ორგანიზმის ჭიებით დასნებოვნება.

ბავშვთა პოლიკლინიკაში მოვიდა დედა ერთი წლის ბავშვით. დედამ ექიმს შესჩივლა, ბავშვს ძალიან ცუდი მადა აქვსო, გოგონა ძლიერ ფერმკრთალი იყო, ნაკლებად აქტიური, შინაგანი ორგანოების მხრივ არსებითი ცვლილებები არ აღენიშნებოდა. დედის ჩივილებისა და ბავშვის გასინჯვის საფუძველზე ეჭვი მივიტანეთ სისხლნაკლებობაზე. სისხლის ანალიზმა დაადასტურა დიაგნოზი. აღმოჩნდა, რომ ჰემოგლობინის რაოდენობა მხოლოდ 48 ერთეულს შეადგენდა, ხოლო ერითროციტებისა — 2,5 მილიონს. საჭირო იყო დაგვედგინა სისხლნაკლებობის მიზეზი. გამოირკვა, რომ ბავშვი 5 თვის ასაკიდან დედამ მოაცილა ძუძუს და მთლიანად გადაიყვანა ხელოვნურ კვებაზე. შეუჩვეველ ახალ საკვებს ბავშვი ცუდად იღებდა. სიამოვნებით სვამდა მხოლოდ ძროხის რძეს, დღეში დაახლოებით 1,5 ლიტრამდე. სწორედ ასეთმა ერთფეროვანმა კვებამ გამოიწვია სისხლნაკლებობა.

ერთფეროვანი კვების დროს ორგანიზმი საკმაო რაოდენობით ვერ ღებულობს იმ ნივთიერებებს, რომლებიც მონაწილეობენ ჰემოგლობინის წარმოქმნაში (რკინა, ცილები, ვიტამინები და სხვა).

ახალშობილს თან ჰყვება რკინის გარკვეული მარაგი, მაგრამ 5-6 თვისათვის ეს მარაგი თანდათანობით მცირდება, ამიტომ ჩვილს ესაჭიროება საკვები პროდუქტების საშუალებით რკინის საჭირო რაოდენობის მიწოდება. ქალისა და ძროხის რძე ძალიან ღარიბია რკინით. სწორედ ამიტომ, ამ ასაკში, გარდა ძროხის რძისა, აუცილებელია თანდათანობით სხვა პროდუქტების მიწოდებაც. ექიმმა მკურნალობის მიზნით დაუნიშნა რკინის პრეპარატები, კუჭის წვენთან ერთად, „C“ და „B“ ჯგუფის ვიტამინები, დედას მიეცა რეკომენდაცია, რაც შეიძლება მეტად ესარგებლა სუფთა ჰაერით. ერთი თვის განმავლობაში, სწორი მკურნალობისა და რაციონალური კვების შემდეგ, ბავშვს ლოყები წითლად შეეფერა, გახალისდა, ჰემოგლობინმა მოიმატა 65 ერთეულამდე, ხოლო ერითროციტების რაოდენობა 4 მილიონამდე გაიზარდა.

ხშირად სისხლნაკლებობა უვითარდებათ ისეთ ბავშვებს, რომლებიც ნაკლებად არიან სუფთა ჰაერზე, ეს დამთრგუნავად მოქმედებს სისხლმბად ორგანოებზე. ზოგჯერ ბავშვს ძალიან კარგი საყოფაცხოვრებო პირობები აქვს, მაგრამ დედას ეშინია ბავშვის გაციებისა. სუფთა ჰაერს არ აკარებს და ნიადაგ ოთახში ჰყავს გამოკეტილი, თბილად ჩაცმული. ასეთი ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ, ფერმკრთალნი და უმადონი არიან.

მძიმე სისხლნაკლებობა ბავშვს შესაძლებელია განუვითარდეს ჭიებით დასნებოვნების გამოც. ორგანიზმში შეჭრის შემდეგ ჭიები გამოყოფენ მომშხამველ ნივთიერებებს, რომლებიც თრგუნავენ სისხლმბადი ორგანოების მოქმედებას და იწვევენ წითელი ბურთულების დაშლას.

იმისათვის, რომ დავიცვათ ბავშვი ჭიებით დასნებოვნებისაგან, აუცილებელია ადრეული ასაკიდანვე შევასწავლოთ პირადი ჰიგიენის წესები. არ უნდა მივცეთ გაურეცხავი ხილი, ბოსტნეული და სხვა საკვები პროდუქტები. როცა ბავშვს განავალში ჭიის კვერცხები აღმოაჩნდება, აუცილებელია ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ჩაუტარდეს სათანადო მკურნალობა.

სისხლნაკლებობა ხშირად ვითარდება სხვადასხვა დაავადებების დროსაც. მახსენდება ერთი ბავშვი, რომელიც მოიყვანეს საავადმყოფოში ძლიერი სიფერმკრთალის გამო. ბავშვს სიცხე ჰქონდა, გამხდარი და უმადო იყო. ორი თვის მკურნალობის შემდეგ ბავშვი საგრძნობლად მოკეთდა, მოემატა სისხლის წითელი ბურთულები და ჰემოგლობინი ამ შემთხვევაში სისხლნაკლებობა გამოწვეული იყო ინფექციური პროცესით.

სისხლნაკლებობასთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ ბავშვის დაბადებამდე. ორსულ ქალს უნდა გაუკეთდეს სისხლის საერთო ანალიზი, ცვლილების გამოაშკარავების შემთხვევაში კი ჩაუტარდეს სათანადო მკურნალობა, რათა ნაყოფი ჯანმრთელი დაიბადოს.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ბავშვს უკვე განუვითარდა სისხლნაკლებობა?—უნდა მივცეთ რკინის, სპილენძის და კალციუმის პრეპარატები; შორწასულ შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის გადასხმას. სისხლნაკლული ბავშვის საკვები უნდა იყოს მრავალფეროვანი და გემრიელი. საკვების კალორიულობა უნდა სჭარბობდეს ბავშვის ასაკის შესაფერი საკვების კალორიულობას მენიუ უნდა შევადგინოთ ხორცით, კვერცხის გულით, ვიტამინებით მდიდარი ბოსტნეულითა და ხილით. აუცილებელია ბავშვს მივცეთ პროდუქტები მდიდარი რკინის მარილებით, ვიტამინებით (A, B, C), მაგალითად, ძროხისა და ქათმის ღვიძლი, საქონლის ენა, ბურღული და უგრეხელი (გრეჩიხა), სტაფილო და ჭარხალი, ხილეულიდან ქიშმიში, ვაშლი, ალუბალი, შავი ქლიავი და სხვა „$B_{12}$“ ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს თევზის ქონი.

სისხლნაკლები ბავშვი დღის მეტ ნაწილს უნდა ატარებდეს სუფთა ჰაერზე.

სისხლნაკლებობა, რომელიც გამოწვეულია არაწესიერი კვებით, დღის რეჟიმის დარღვევით, ინფექციური ან ჭიებით დაავადებებით, კარგად ექვემდებარება მკურნალობას, მაგრამ ეს მკურნალობა რაც შეიძლება ადრე უნდა დავიწყოთ, მაშინ შედეგსაც სასურველს მივიღებთ.

მთავარია, როგორც კი ბავშვს სისხლნაკლებობის რაიმე ნიშანს შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს!

ა. კვეზერელი-კოპაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვუაროთ სახის კანს?

პროფესორი ლუბა შეჭირული
პასუხობს მკითხველებს

თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლე ლამარა ს...ძე უჩივის სახის კანის ჭარბ ცხიმიანობას, ჩირქოვან გამონაყარსა და შავ ფერიმჭამელებს. გორში მცხოვრებ ნანის, პირიქით, კანის სიმშრალე აწუხებს; ხანგრძლივად იყენებს თურმე მკვებავ მალამოებს, მაგრამ უშედეგოდ, ახლა მას სახეზე თმის ჭარბად ზრდაც დასწყებია.

მათ ჩვენ მხოლოდ ზოგადი კონსულტაცია შეგვიძლია მივცეთ. წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ისინი სპეციალურ სამედიცინო გამოკვლევას საჭიროებენ, დაავადების გამომწვევი მიზეზის დადგენის შემდეგ კი — შესაფერის კომპლექსურ მკურნალობას, საერთო და ადგილობრივი საშუალებებით. შესაძლებელია (და არა აუცილებელი) ორივე შემთხვევაში ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზად სებორეა ჩაითვალოს.

სებორეის დროს ზიანდება კანი, იცვლება მისი ნორმალური ცხიმიანობა, მეტწილად სახეზე, თავის თმიან მიდამოში, ზურგზე და გულმკერდზე, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც ცხიმის ჯირკვლებია მოთავსებული. დაავადების მიზეზები მეტად მრავალფეროვანია — კვების ხასიათი და რეჟიმი, ვეგეტატიური ნერვული სისტემისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური მოშლილობა, მძიმე ქრონიკული დაავადებები, ვიტამინების ნაკლოვანება, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა, განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების ასაკში და სხვა. ამიტომაცაა, რომ სებორეა, მეტწილად, მოზარდებში 14-17 წლის ასაკში გვხვდება.

ცხიმის ჯირკვლების ფუნქციაზე გარეგანი ფაქტორებიც მოქმედებენ: მაღალი ტემპერატურა, ქარი, წვიმა, სიცივე. ასეთ შემთხვევაში კანი, მეტწილად, შრება, იქერცლება, უხეშდება. სებორეით დაავადებულთა კანის ნორმალური მჟავე რეაქციის მქონე საფარველი ტუტოვან რეაქციაში გადადის, მისი წინააღმდეგობის უნარი ქვეითდება და ამიტომ არის, რომ სებორეის ფონზე ხშირად კანზე ფერისმჭამელები, ათერომები და ჩირქოვანი ინფექცია ჩნდება.

ცხიმიანი სებორეის დროს კანზე ფართოვდება ფორები და კანი ფორთოხლის ქერქს ემსგავსება. თმა და კანი პრიალებს, თითქოს ზეთი აქვსო გადასმული. ხშირად ჩნდება ცხიმიანი ქერცლი. წითლდება კანი.

კანის სიმშრალე ცხიმის ნაკლები გამოყოფისა და კანიდან სითხის გაძლიერებული აორთქლების შედეგად ვითარდება. გარდა ზემოაღნიშნული შინაგანი და გარეგანი ფაქტორებისა, კანის სიმშრალეს არასწორი მოვლაც იწვევს: პირის ბანა საპნით, სპირტით და წყალბადის ზეჟანგით გასუფთავება, სხვადასხვა შეუფერებელი მალამოებით სარგებლობა, ზოგჯერ, სასარგებლო მალამოს ძლიერი შეზელვა კანის ულმობელი დაჭიმვით და სხვა.

მშრალი კანი ნაზი, თხელი და მქრქალია, ფორები არ ემჩნევა და ზოგჯერ იქერცლება. თუ ასეთ კანს თავიდანვე სისტემატურად და სწორად მოვუვლით, სულ მალე ნორმალურ შეხედულებას მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი კიდევ უფრო გაშრება, საპნით, ზოგჯერ მარტო წყლით დაბანასაც ველარ აიტანს; დაბანის შემდეგ გაჩნდება წითელი ლაქები, დაიჭიმება, აიქერცლება, იგრძნობთ წვას, ბოლოს კი მოდუნდება და... ნაოჭები გაჩნდება, უპირველეს ყოვლისა ნაოჭებს თვალების გარეთა კუთხეებთან შენიშნავთ. თუ კანის სიმშრალე მხოლოდ გარეგანი უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებითაა გამოწვეული, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მისი მხოლოდ გარეგანი საშუალებებით გამოსწორება, ხოლო თუ მისი ძირითადი მიზეზი შინაგანი ფაქტორები, ანუ რომელიმე ავადმყოფობაა, მაშინ ცხადია მალამოების გამოყენება და კანის სწორი მოვლაც კი ეფექტს არ მოგვცემს, საერთო დანიშნულების გარეშე, რომელიც დაავადების გამომწვევი მიზეზის გათვალისწინებით ინიშნება — ნერვული სისტემის დამამშვიდებელი, მასტიმულირებელი საშუალებები — სტრიხნინი, ალოე და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანტისებორეული ვიტამინების კურსობრივ გამოყენებას — ვიტამინი „A" „დიდ დოზებში და ხანგრძლივად, ვიტამინი „E", ასკორბინისა და ნიკოტინის სიმჟავე და „B" ჯგუფის ვიტამინები. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგებას, დიეტას (მეტწილად სასურველია რძის პროდუქტები და ვეგეტარიანული საკვები), რეგულარულ ფიზიკურ ვარჯიშს და ა. შ.

მკურნალობის ადგილობრივი მეთოდებიდან მთავარია კანის სწორი მოვლა, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

კანის მოვლა, პირველ რიგში, პირის ბანას ითვალისწინებს. თუ თქვენ მშრალი კანი გაქვთ, პირის დაბანა შეიძლება კვირაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ცხიმიანი საპნით. ასეთებია: „კოსმეტიკური", „ლანოლინის", „სპერმაცეტის" და სხვა. უმჯობესია პირი დაიბანოთ საღამოს, გადადუღებული წყლით (1 ლიტრ წყალზე 1 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა ან 1/2 ჩაის კოვზი გლიცერინი). კარგია 2 ჩაის ჭიქა ადუღებული გაციებული წყლისა და 1 ჩაის ჭიქა რძის ნარევიც. დანარჩენ დღეებში სახე უნდა გაიწმინდოთ შემთბარი ზეთით (ატმის, ნუშის, ზეითუნის, მზესუმზირის) ან რომელიმე ლოსიონით (ვარდის წყალი, „ლილია", „ბარხატნი", „უტრო", „რასსვეტი" და სხვა.). გასუფთავების შემდეგ კანი საშრობი ქაღალდით, ან ბამბის ტამპონით გაიწმინდეთ. ძლიერ მშრალ კანზე დაბანის ნაცვლად კარგად მოქმედებს ე. წ. კოსმეტიკური „მაიონეზის" დადება, რომელიც კვერცხის გულის, მცენარეული ზეთისა და ადუღებული (ცივი) წყლის თანაბარი რაოდენობისაგან შედგება. ეს ნარევი ყოველი ხმარების წინ უნდა მომზადდეს. „მაიონეზი" 5-10 წუთის შემდეგ ჯერ საპნის ქაფიანი და თბილი, შემდეგ კი ცივი წყლით უნდა ჩამოიბანოთ.

საერთოდ, კარგია დაბანის წინ კანზე კეფირის, მაწონის ან არაჟანის 5-10 წუთით წასმა. შემდეგ სახეზე 1/2-1 საათით მკვებავი კრემი წაისვით, ბოლოს კანი ბამბის ტამპონით ან საშრობი ქაღალდით შეიშრეთ. ღამე სახეზე კრემის დატოვება არ შეიძლება, კარგია მსუბუქი თვითმასაჟიც.

ცხიმიან კანს კარგად ასუფთავებს საპონი და თბილი წყალი, პირის ბანა შეიძლება ყოველდღე ან დღეგამოშვებით, კარგია მაწონის ან მჟავე არაჟანის 5-10-წუთიანი ნიღაბი. თუ ფორები გაფართოებული გაქვთ, კანი გაისუფთავეთ ნიშადურის სპირტის 0,5-1-პროცენტიანი ხსნარით, კალენდულის 5-პროცენტიანი ნაყენით, ტუალეტის ძმარით, ან სალიცილის სიმჟავისა და რეზორცინის 1-2-პროცენტიანი სპირტიანი ხსნარით. შეგიძლიათ იხმაროთ ლოსიონები: „არქტიკა", „უტრო", „კემერი", „რომაშკა", „სტარტი" და სხვ. ცხიმისა და შავი ფერიმჭამელების მოსაცილებლად კარგია კვირაში 2-3-ჯერ მარილიანი პროცედურაც — სუფრის წმინდა მარილი საპნის ქაფში დასველებული ბამბის ტამპონით კანზე ნაზი წრიული მოძრაობით შეიზილეთ; 2-3 წუთის შემდეგ თბილი, შემდეგ კი ცივი წყლით ჩამოიბანეთ. ცხიმიან კანზე ფერიმჭამელების გაჩენის პროფილაქტიკის მიზნით კრემი „მასკა", „ულიბკა" ან „ლიმონი" უნდა გამოიყენოთ, ხოლო კანის გაღიზიანებისას კი — „ლოტოსი".

სახეზე ჩირქოვანი გამონაყრის შემჩნევისას დაუყოვნებლივ კანის ექიმს უნდა მიმართოთ.

დღისით ცხიმიან კანზე შეიძლება რომელიმე კრემ ჟელე („სევერნი", „ანტიუგრინი", „კრასნაია მოსკვა", „სნეჟინკა") და პუდრი წაისვათ, საღამოს კანი აუცილებლად უნდა გაისუფთაოთ.

არც ისე იშვიათად სახის კანი შერეული ფორმისაა — ალაგ ჭარბცხიმიანობაა გამოხატული (მაგალითად, ცხვირზე, ნიკაპზე და შუბლზე), ალაგ კი სიმშრალე (ლოყებზე), ასეთი კანი დიფერენცირებულ მოვლას მოითხოვს.

გახსოვდეთ, რომ კრემების, განსაკუთრებით მკვებავის, ხანგრძლივად და უხვად გამოყენება ხელს უწყობს სახეზე თმის ზრდას, მითუმეტეს, თუ კანზე ღინღლი ისედაც შეინიშნება. ამიტომ მკვებავი კრემები, მეტწილად, ნაოჭებიან ადგილებზე უნდა წაისვათ.

კანის სისტემატური და სწორი მოვლით დიდხანს შეინარჩუნებთ ახალგაზრდულ იერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენები დიასახლისებს



საახალწლო ფაცი-ფუცს ქალები გაცილებით ადრე იწყებენ.

უპირველეს ყოვლისა, ალაგებენ სახლს, აბა ვის არ უნდა ავეჯი და კედლები სუფთად, პეწიანად გამოიყურებოდეს.

გაპრიალებული ავეჯიდან მტვერი რბილი ჩვრით უნდა აიღოთ, შემდეგ „პოლიროლით“ ან „სუპერბლესკით“ გაწმინდოთ. თუ ეს უკანასკნელი ხელთ არა გაქვთ, თანაბარი რაოდენობით ერთმანეთში აურიეთ ბენზინი და სკიპიდარი, ავეჯს გადაუსვით და რბილი ჩვრით გააპრიალეთ. ავეჯიდან ცხიმის ლაქები სპირტში დასველებული ბამბით უნდა მოაცილოთ.

ზეთიანი ან ემალირებული საღებავით დაფარულ ფანჯრის ჩარჩოებს, კარს, სამზარეულოს კარადას, ტაბურეტს სხივი რომ არ დაეკარგოს, ნუ გარეცხავთ საპნიანი და სოდიანი წყლით, იხმარეთ ნიშადურიანი წყალი (ორი კოვზი ნიშადური ერთ ვედრო წყალზე), რის შედეგადაც ფანჯრის ჩარჩოებიცა და კარიც ახალშეღებილივით იკრიალებს.

რბილი ავეჯი ძალიან მალე მტვრიანდება. თუ მტვერსასრუტი გაქვთ, ხომ კარგი, თუ არა და, ნურც ეს შეგაწუხებთ; დივანი იქნება თუ სავარძელი, გადააფარეთ კარგად გაწურული სველი ტილო და გაბერტყეთ. შეიძლება, აგრეთვე, ჯაგრისი გაახვიოთ სველ ტილოში და იმითი გაწმინდოთ რბილი ავეჯი, ოღონდ ტილო მალი-მალ უნდა შეცვალოთ.

რბილი ავეჯიდან ქონის ლაქები ბენზინით უნდა ამოიღოთ, ზეთიანი საღებავის ლაქები კი — სკიპიდრით ან აცეტონით, შემდეგ ნიშადურის სპირტით გაწმინდოთ.

სარკე რომ ახალივით პრიალებდეს, გარეცხეთ თბილი წყლით, ცხელი ჩაით, ან კბილის ფხვნილისა და ძმრის ნარევით.

ოთახი დალაგებულია. ახლა კი გავშალოთ მაგიდა.

სუფრა მოიძიეთ ყველაზე კარგი და თეთრი, მაგრად გაახამეთ. სტუმრებს ცალ-ცალკე დაუდგით ერთმანეთზე შედგმული დიდი და პატარა თეფშები, მარჯვნივ დადეთ დანა მჭრელი მხრით თეფშისაკენ, მარცხნივ — ჩანგალი. ჩაის ან დესერტის კოვზი თეფშს წინიდან დაუდეთ. ჭიქებიც არყისათვის, ღვინისთვის და მინერალური წყლისთვის თეფშის წინ დადგით. თეფშზე ან გვერდით დადეთ ხელსაწმენდი. მაგიდა მორთეთ ნაძვის ტოტებით: ჩააწყვეთ ვაზებში ან დაალაგეთ მაგიდაზე.

სუფრა გაშლილია.

ახლა საჭიროა თავს მივხედოთ.

ქმარ-შვილს და ახლობლებს სურთ ლამაზი და მხიარული გიხილონ. მხიარული იქნებით, თუ კარგად გამოიძინებთ. ორი-სამი საათი საკუთარი თავისთვისაც უნდა მოიცალოთ; ჯერ მიიღეთ შხაპი, უმჯობესია თბილი აბაზანა, კარგია თუ წყალში წიწვის ექსტრაქტს გახსნით. სახეზე დაიდეთ მკვებავი ნიღაბი. მშრალი და ნორმალური კანისათვის: კვერცხის გული და ზეთი, ან ჩაის კოვზი თაფლი და ლიმონის წვენი, ცხიმიანი კანისათვის კი — ერთმანეთში არეული ლიმონის წვენი და კვერცხის ცილა. თვალებზე დაიდეთ მაგარ ჩაიში დასველებული ბამბა. ცოტა ხნით სხეული მოადუნეთ და თვალები დახუჭეთ. მერე სახე მოიბანეთ, შეიმშრალეთ და ერთი საათით ლოგინში ჩაწექით. შემდეგ შეგიძლიათ წაისვათ პუდრი ან დეკორატიული კრემი, ოღონდ — ზომიერად, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტრონის შუქზე დაღლილი და მოთენთილი გამოჩნდებით. სულ რომ არ წაისვათ, არც ისვარგა, სახის ნაკლი საღამოს შუქზე მეტად ჩანს. მოყვითალო პუდრს ნუ წაისვამთ, ნუ შეიღებავთ მკრთალად ტუჩებს. არც ის დაივიწყოთ, რომ თქვენი ტუჩების ფერი ტანსაცმლისა და ფრჩხილების ფერს ეხამებოდეს.

წამწამის შეღებვამდე ზედ ჯერ თხლად ვაზელინი დაისვით, შემდეგ — პუდრი და ბოლოს საღებავი. ასე შეღებილი წამწამები ხშირი და გრძელი ჩანს.

თუ ფეხი გისივდებათ, აბაზანის შემდეგ ზედ კრემი წაისვით, ტერფიდან მუხლამდე გაიკეთეთ მსუბუქი მასაჟი, დაიყარეთ ტალკი და მთელი ღამე ისე იცეკვებთ, დაღლას ვერ იგრძნობთ.



# საახალწლო სუფრა

## ნიგვზის ტორტი

200 გრ არაჟანი, 2 კვერცხი, ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი, ჩაისჭიქანახევარი ფქვილი, ნახევარი ქილა შესქელებული რძე ან კაკაო, ერთი ჩაის კოვზი სოდა. კარგად აურიეთ: ცომი შედგით 50 წუთით ზომიერად გახურებულ გაზქურაში.

კრემისათვის აიღეთ 200 გრ კარაქი და ქილაში ჩარჩენილი შესქელებული რძე ან კაკაო, კარგად ათქვიფეთ და 300 გრ წვრილად დაჭრილ ნიგოზში აურიეთ.

გამომცხვარი და გაცივებული ნამცხვარი ორ თანასწორ ნაჭრად გაჭერით და კარგად წაუსვით ნიგვზიანი კრემი. მზა ტორტი აუცილებლად ერთი დღე ცივ ადგილას უნდა გააჩეროთ.

## ჭრელი ნამცხვარი

ათქვიფეთ კარაქი, თანდათან უმატეთ კოგლიმოგლი, გახეხილი ლიმონის კანი და ლიმონის წვენი, გადარჩეული ქიშმიში, წვრილად დაჭრილი მარმალადი, წვრილად დაფხვნილი ნამცხვარი (პეჩენიე). ყველაფერ ეს ერთგვაროვან მასად აქციეთ და სველ ცელოფანის ქაღალდში გაახვიეთ, მიეცით გრძელი ფორმა და 3-4 საათით შედეთ მაცივარში. სუფრაზე გამოტანისას პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭერით.

მასალა: 400 გრ ნამცხვარი (პეჩენიე), 300 გრ კარაქი, 2 კვერცხი, ჭიქა შაქარი, 200 გრ ფენოვანი მარმალადი, 1 ლიმონი, 100 გრ ქიშმიში.

## ლიმონიანი ბისკვიტი

ხარშეთ ლიმონი, სანამ დარბილდებოდეს, შემდეგ საცერში გახეხეთ, 1/2 ჭიქა შაქრის პუდრაში გათქვიფეთ ხუთი კვერცხის გული. დაუმატეთ გახეხილი ლიმონი და ნახევარი ლიმონის წვენი, ჩაყარეთ შიგ 2 სუფრის კოვზი კარტოფილის და ამდენივე პურის ფქვილი. ხუთი კვერცხის ცილა კარგად ააქაფეთ და უკვე მომზადებულ ცომს შეურიეთ. ბისკვიტი ფორმაში უნდა გამოაცხოთ.

## ფორთოხლიანი ან ლიმონიანი ნამცხვარი

კარაქი ან მარგარინი შაქრის ფხვნილთან ერთად კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ ფორთოხლის ან ლიმონის გახეხილი კანი და თანდათანობით ათქვეფილი ცილა, როცა მიიღებთ ერთგვაროვან მასას, დაუმატეთ ფქვილი. შემდეგ ჭადრაკულად, ჩაის კოვზით დაალაგეთ ტაფაზე და გამოაცხვეთ გაზქურაში 150-160 გრადუს ტემპერატურაზე.

მასალა: 400 გრ მარგარინი ან კარაქი, 400 გრ შაქრის ფხვნილი, 5 კვერცხის ცილა, ფორთოხლის ან ლიმონის გახეხილი კანი, 250 გრ ფქვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური იუმორი

— დედა, ნახე რამდენი ჭაღარა ამოგსვლია! — ეუბნება პატარა ჯონი დედას.

— მშობლები მაშინ ჭაღარავდებიან, როცა შვილები არ უჯერებენ.

ჯონი ჩაფიქრდა.

— ახლა მესმის, რატომ არის ბებია მთლად გათეთრებული.

* * *

რეპორტიორი: რაში მდგომარეობს პროფესორის კვლევითი მუშაობა უკანასკნელ ხანს?

პროფესორის მსახური ქალი: უმთავრესად საკუთარი სათვალის ძებნაში.

* * *

— ჟან, გამოტყდი, ვინ დაგიწერა საშინაო დავალება?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ ვიცი, მუსიე. წუხელ ადრე დავწექი დასაძინებლად.





* * *

პატარა გოგონა მამას ეკითხება:

— მამიკო, რატომ არ მეთამაშები?

— იმიტომ, რომ დრო არა მაქვს.

— რატომ არა გაქვს დრო?

— იმიტომ, რომ ვმუშაობ.

— რატომ მუშაობ?

— იმიტომ, რომ ფული მივიღო.

— ფული რისთვის გინდა?

— იმისთვის, რომ შენ გაჭამო.

— იცი რა, — ამბობს გოგონა მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ.

— მე ახლა სრულებით არ მშია, ასე რომ თავისუფლად შეგიძლია მეთამაშო.

* * *

პატარა ბიჭუნა სასეირნოდ ემზადება.

— ჩექმებს ნუ ჩაიცვამ, — ეუბნება დედა, — ტალახი აღარ არის.

ბიჭუნა გადის, რამდენიმე წუთის შემდეგ ბრუნდება და აღფრთოვანებული ამბობს:

— დედა, ჩქარა მომეცი ჩექმები, ტალახი ვიპოვე.

* * *

— მე მინდა წიგნი „მამაკაცი — ქალის მბრძანებელი".

— ფანტასტიკა მეზობელ დარბაზშია, — — პასუხობს გამყიდველი.

* * *

ქმრები საუბრობენ:

— ჩემი მეუღლე მირჩევს, ყველაფერი უმად ვჭამო. ასე უფრო სასარგებლოაო.

— არც ჩემსას უყვარს კერძების მომზადება...

* * *

— მამიკო, ვიტამინები, რომლებიც პამიდორშია, თვითონ პამიდორისთვის არის სასარგებლო? — ეკითხება გოგონა მამას.

* * *

მამაკაცი თეატრში ზის ორი მანდილოსნის უკან, რომლებიც გაუთავებლად ელაპარაკებიან ერთმანეთს.

— მაპატიეთ, მაგრამ არაფერი მესმის, — მხარზე ეხება ერთ-ერთს მოთმინებადაკარგული კაცი.

— არც არის საჭირო, ეს ჩვენი კერძო საუბარია, — ეუბნება ქალი.

* * *

— მამა, შენ კარგად იმახსოვრებ სახეებს? — ეკითხება ბიჭუნა მამას.

— მე მგონია, კი, — ამაყად პასუხობს იგი.

— კიდევ კარგი, თორემ შენი წვერის საპარსი სარკე გავტეხე.

* * *

გამოცდილი დედა ქალიშვილს არიგებს:

— წარმოიდგინე, რომ ეს ბავშვი სხვისაა. სხვისი შვილების აღზრდა ყველამ შესანიშნავად იცის.

* * *

გარეკანის პირველ გვერდზე — პოსტზეა კომკავშირელი რიგოსანი თამარ გერიშვილი.
სლაიდი გრ. სეირანიანისა

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, ჟ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 21/X-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/XII-74 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 125000 შეკვ. 3816 უე 01970 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავი



რაფიელ ერისთავის ძეგლი თბილისში

ავტორები — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ე. ამაშუკელი და დამსახურებული არქიტექტორი გ. მირიანაშვილი.

ახალი წელი მოდის, ახალი ფიქრებით და საზრუნავით სავსე. კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენ გავაცილებთ ძველს. მოვიგონებთ ყველა იმ სიკეთეს, რომლებიც გზაზე შეგვხვდა შრომაში, პირად ცხოვრებაში.

ძველმა წელმა დიდი გამოცდილება დაგვიტოვა, გვასწავლა როგორები უნდა ვიყოთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ დროის, ეპოქის შესაფერისად. გვასწავლა, როგორ შევხვდეთ ახალ წელს. რა ამოცანებით და პერსპექტივებით. როგორი ნათელი, გმირული მიზნებით. სწორედ ამით განსხვავდება დღევანდელი წინასაახალწლო განწყობილება სხვა წლებისაგან. იგი სულ სხვაგვარია — უფრო მიზანდასახული, უფრო ენერგიული და შემტევი, უცვლელი რჩება მხოლოდ სწრაფვა სილაღისაკენ, მხიარულებისაკენ, სიცილისა და გართობისაკენ.

და ჩვენც ვეძლევით ამ მხიარულებას!
სანამ საათი თორმეტჯერ დარეკავს,
სანამ აივსება სასმისები,
სანამ მოადგება კარებს მეკვლე,

დიასახლისებო, დედებო, დებო, საპატარძლოებო,—მორჩით ყოველგვარ ფუსფუსს და ჩაებით საერთო მხიარულებაში გაერთეთ, იცინეთ. გაზქურასთან ნუ დაიღლით თავს — ისარგებლეთ ნახევარფაბრიკატებით, დაკვეთის მაგიდებით, რესტორნებით! დედებო, თუ ბავშვები მოზრდილები გყავთ, შეხვდით ახალ წელს რესტორანში, დაწესებულებაში...

საამისოდ ბევრი რამ გაკეთდა. საამისოდ იქმნება ყოველგვარი პირობები. საამისოდ არის გარკვეული ტრადიციაც მაგალითად წინდების ფაბრიკა „კრწანისში" გასულ წლებში ასე ხვდებოდნენ ახალ წელს (ფოტო № 2). თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში მეათეკლასელებს კვლავ შეუძლიათ ახალი წელი ერთად გაატარონ (ფოტო № 4) სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მშრომელებმა სახელოვნად იშრომეს და ივაჟკაცეს, ახალ წელს ყოველთვის მხიარულ განწყობილებას ეძლევიან (ფოტო № 1), თბილისის მკვიდრებს მერი ობგაიძეს და ოთარ ლეკიშვილს კი ტრადიციად აქვთ ახალი წლის ოჯახში გათენება, სადაც 7 მერცხალი მღერის, სადაც 7 შვილი იზრდება (ფოტო № 3).

ფოტოები იხილეთ გარეკანის მეოთხე გვერდზე



6 113/14

ИНДЕКС 76178

ეროვნული
ბიბლიოთეკა





